# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 103 ოთხშაბათი, 13 მაისი 1909 წ. № 103

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ სალამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. მოკლე და მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია ასწორებს. ინახება ერთის თვით მხოლოდ ... მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ... დღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარეთ ღირს 1 მან., ხოლო ხშვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



გრიგორ და მნაცაკან იაგორის ძენი ფრიდონოვები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფას და დაუვიწყარ მათს დედის

ეკატერინე ავეტიქის ასულის ფრიდონოვისას.

პანაშვიდი ოთხშაბათს, 13 მაისს, საღამოს $7^{1/2}$ საათ. სერგიევის ქუჩა № 11, საკუთ. სახლი. გამოსვენება ხუთშაბათს, 14 მაისს, დილის 10 ნახევარ საათზე. ნორაშენის ეკლესიაში; დაკრძალვა იმავე ეკლესიის გალავანში. (3—257—2)

ორშაბათს 18 მაისს, ვერაზე „ედემი"-ს ბაღში

კნეინა მარიამ დავითის ასული ჭავჭავაძისა ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების სამუსიკო სკოლის სასარგებლოდ გამართავს

„მაისობა-არიფანა"-ს

რადგან ყველა სანოვაგე შემომწირველთაგან შინვეა დამზადებული—ფასები უფრო ნაკლებია, ვიდრე რესტორანებში, სასმელების ფასიც ზომიერია. იმღერებს ფილარმონიულ საზოგადოების მომღერალთა გუნდი, დაუკრავს სამხედრო მუსიკა, საზანდარი და დუდუკი. გამართულ იქნება პატარა ლატარია-ალეგრი, ნიშანში თოფის სროლა, „პტი-შვო" და სხვა და სხვა გასართობი. ცეკვა ქართული და ევროპიული.

მაყურებელთათვის ერევნის მოედნიდან ივლიან ავტომობილები.

ბაღი და ბუფეტი ღია იქნება შუადღის 1 საათიდან. სურვილისამებრ ცალ-ცალკე სუფრა იქნება გაშლილი და საერთოც.

ბაღში შესვლის ფასი 30 კაპ., ხოლო ბავშვებისა და მოწაფეთათვის 15 კაპ.

ბილეთები იყიდება მასპინძელთან კნ. მ. დ. ჭავჭავაძესთან (გრიბოედოვის ქუჩა. № 10), სამუსიკო სკოლაში (ჭავჭავაძის ქუჩა, № 4) და „მაისობა-არიფანა"-ს დღეს ბაღის კარებში. (5—უ.—2)

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო თეატრი

ოთხშაბათს, 13 მაისს, 1909 წ. ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა პ. ირეთელისა.

ქრისტინე

დრამა 4 მოქ. და 5 სურათად.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი კარგარეთელი, მდივანი, ნებიერიძისა, ჩერქეზიშვილი, ქილარჯიშვილი, ჯავახიშვილი; ბ-ნნი გუნია, იმედაშვილი-ხამშელი, კ. მესხი, მატარაძე, სვიმონიძე, საფაროვი, ვ. ურუშაძე, მაღიკაშვილი.

ადგილების ფასი 1 მ. 50—20 კაპეიკამდე.

დასაწყისი სწორედ საღამოს $8^{1/2}$ საათზე. ანტრაქტებში დაუკრავენ გიტარა-მანდოლინოს. ბილეთები გაიყიდება ძმ. ზუბალაშვილების სახალხო თეატრის კასსაში ყოველ-დღე:—დილით 12—2 ს. და საღამოთი 6—8 საათზე.

რეჟისორი ვ. შალიკაშვილი. რეჟისორის თანაშემწე ვ. ურუშაძე.

უკვე დაიბეჭდა ცალკე წიგნად და 16 მაისიდან გასაყიდად დაურიგდებათ წიგნის მაღაზიებს

ვასილ ყიფიანის

ორიგინალური ისტორიული დრამა ხუთ მოქმედებად

სამეგრელოს მთავარი

ლევან

ფასი 40 კაპ.

ტფილისს გარედ მცხოვრებთ, ვინც გაზეთ „დროების" კანტორიდან დაიბარებს წიგნს, გასაგზავნი ფული არ გადახდებათ.

სავაჭრო-სამრ. ამხანაგობა „იალბუზი"

აცხადებს, რომ ამ თვის 14 რიცხვს, შუა დღეს, გაიხსნება ამ ამხანაგობის ახალი რესტორანი სახელად

„ამმა"

გოლოვინის პრ. სახლი არამიანცისა, არტ. საზ. გვერდით.

(2—1) ამხ—ბის გამგეობა.

სტამბა „შრომის" ამხანაგობამ

ქართულად გამოსცა გიოტეს უკვდავი ქმნილება

ფაუსტი

დრამატიული პოემა ორ ნაწილად, თარგმანი პეტრე მირიანაშვილისა.

წიგნი შეიცავს 486 გვერდსა მოზდილი ფორმატისას და ღირს 1 მან, 25 კ. ვინც ხუთზე მეტს დაიბარებს თითო წიგნი დაეთმობა მანეთად. წიგნის საწყობია „შრომის" სტამბაში.

ადრესი: Тифлисъ, Типографія „Шрома", Василію Болквадзе. (10—6.—2)

ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—143)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ქუთაისში მ. წერეთელი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით —12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—75)

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. აგჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

ექიმი მ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

ექიმი მ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი კბილისა ნ. რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

ექიმი ა. დიასამიძე სადგომის გამოცვლის გამო 25 მაისამდე სახლში ავადმყოფებს არ მიიღებს; ავადმყოფებს განსინჯავს მხოლოდ „სამკურნალოში", ვოგზლის ქუჩაზე N 8, შუადღის 12—2-მდე.

დ. ხონის მთავრობის ვაჟთა

პროგიმნაზია

(ქუთ. გუბერნია)

ამით აცხადებს, რომ გამოცდა მისაღებად მოსამზადებელი, პირველი, მეორე და მესამე კლასში დანიშნულია 26, 27, 28, 29 და 30 მაისისათვის. (1—6.—1)

ახლად გახსნილი

ტფილისის

კერძო საავადმყოფო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ყნფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. ლამბაშიძე—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

გ. მ. მაკაროვი—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^{1/2}$—$12^{1/2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

მ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

საღამოთი.

ა. გ. მირზოევი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

ნ. გ. ჭიჭინაძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—6.—58)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (6. 61)

ქართული

სახალხო სიმღერები და ლექსები

გამოვიდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ლექსები შეკრებილი და ნოტებზე დაწყობილი ი. კარგარეთელის მიერ. წიგნის ფასი 50 კ. (5—3)

მარგანეცის მრეწველთა შავი-ქვის ამხანაგობის

გამგეობა იწვევს ამ ამხანაგობის წევრებს, თანახმად ამხანაგობის წესდების მე 24 მუხლისა, საზოგადო კრებაზედ, რომელიც მოხდება ს. ჭიათურაში, თეატრის დარბაზში, ოთხშაბათს, მაისის 27.

განსახილველი საგნები:

1. ამხანაგობის დამოკიდებულების მოსპობა ბერლინის მარგან-სინდიკატთან.

2. ამხანაგთა შორის საურთიერთო ანგარიშის გამორკვევა.

3. ამხანაგობის ქონების დანაწილება. (6—6.—2)


## ტფილისი, 13 მაისი

მესამე სათათბირო ისე მიეგება მუშათა შესახებს პირველ კანონ-პროექტს, რომელიც მას წარედგინა განსახილველად, როგორც ეს სავსებით შეჰფერის მსხვილ კაპიტალისტთა და მემამულეთა კრებულს. კიდევ მეტი: ასე უსირცხვოდ, ასეთის ცინიზმით არც ერთი უკიდურესი რეაქციონური პარლამენტი არ მიჰგებებია მუშათა საკითხს, როგორც ეს 4 და 5 მაისის სხდომაზე მოახდინა რუსეთის პარლამენტმა. სხვაგანაც ბურჟუაზიული უმრავლესობა თავის კლასიურ ინტერესებს იცავს და რაც შეიძლება ფრთებს აკვეცს მუშათა მოთხოვნას, მაგრამ გარეგან ზრდილობასა, ზომიერებას და საქმიანობას მაინც იცავს; მესამე სათათბირომ კი ამ მხრითაც არ შეიკავა თავი და რაღაც ცინიკურის შურისძიების ხასიათი მისცა მთელ კამათს მუშათა კანონ-პროექტის შესახებ. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ოპოზიციის არც ერთს ორატორს არ მისცეს საშუალება არა საგიტაციო, არამედ საქმიან სიტყვის წარმოთქმისა. როგორც კი წარმოდგებოდა ოპოზიციის ორატორი, ატყდებოდა ხმაურობა და არავის არაფერი აღარ ესმოდა. უმრავლესობამ უარჰყო ს.-დ. და კადეტების ყველა საქმიანი შესწორებანი და უარჰყო ისე, რომ ხეირიანად არც არავის არ გაუგია და არ გაუგონია, რას შეეხებოდნენ და რას ამბობდნენ ეს შესწორებანი. ისეთი მაგალითიც მოხდა, რომ ერთ-ერთ შესწორებას მთავრობამაც კი დაუჭირა მხარი, მაგრამ უმრავლესობამ ისიც უარჰყო...

ამ კანონ-პროექტის სვე-ბედსა და ხასიათზე ჩვენ უკვე გვქონია საუბარი მკითხველებთან და აქ მოკლედ გავიხსენებთ. იგი უკვე კარგა ხანია წარუდგინა მთავრობამ სათათბიროს და შეეხება ფინანსთა სამინისტროს უწყების მუშათა და მსახურთა დაჯილდოვებას უბედურ შემთხვევათაგან დაშავების დროს. კანონ-პროექტს ვიწრო მნიშვნელობა აქვს, რადგან შეეხება მარტო ამ უწყების მუშათ. მიუხედავად ამისა, მიუხედავად აგრეთვე იმისა, რომ ამ ფარგალშიაც მეტად სუსტად იცავს მუშათა ინტერესებს, მესამე სათათბიროს საგანგებო კომისიას იგი მეტად ლიბერალურ კანონ-პროექტად ეჩვენა და ჯერ რაც შეეძლო დააგვიანა მისი წარდგენა სათათბიროსთვის და შემდეგ ისე დაამახინჯა იგი, რომ თითქმის სრულებით დაუკარგა ისედაც მცირე მნიშვნელობა. კანონ-პროექტი ორ ნაწილისაგან შესდგებოდა: პირველი უზრუნველყოფდა მუშებს უბედურ შემთხვევათაგან, მეორე—საპროფესსიო ავადმყოფობისაგან. პირველ ნაწილს, რომელიც შედარებით უფრო იშვიათ შემთხვევებს შეეხება, ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მეორეს, რადგან საპროფესიო სენთა გავრცელება უდიდესი ბოროტებაა, სიავეა მუშათა ცხოვრებაში. კომისია იმდენს ეცადა, რომ ეს მეორე, უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოაშორა პირველს და შორს მომავლისთვის გადასდო; მიზეზად საარაკო და სასაცილო გარემოება დაიხვია ხელზე: საკმაო სტატისტიკური ცნობები არა გვაქვსო და, როცა მთავრობა ამათ წარმოგვიდგენს, მაშინ განვიხილავთ კანონ-პროექტის ამ ნაწილსაცაო!.. დარჩენილ პირველ ნაწილშიაც კომისიამ, ბ-ნ ტიზენგაუზენის თავმჯდომარეობით, ამოფხიკა ყოველი ნიშანწყალი მთავრობის „ლიბერალიზმისა". სათათბიროც ასე მოიქცა. მაგალითისთვის ერთიც კმარა: ჯილდოს გამოანგარიშების დროს უნდა იხელმძღვანელონ იმით, თუ რამდენი სამუშაო დღეა წელიწადში. მთავრობამ მხარი დაუჭირა ოპოზიციას იმაში, რომ წელიწადში 280 სამუშაო დღე უნდა ითვლებოდეს, სათათბირომ კი, კომისიის მოხსენების თანახმად, 260 დღე აღიარა ჩასათვლელ დღედ და, მიუხედავად იმისა, რომ ფინანსთა მინისტრის ამხანაგი პოკროვსკი არწმუნებდა სათათბიროს—ფაქტიურადაც მუშები ამდენს მუშაობენო, უმრავლესობამ ფეხი არ მოიცვალა პოზიციიდან და ასეთი მცირე რამეც კი არ დასთმო მუშებისათვის...

ასე მიეგება და ასე გადასწყვიტა მესამე სათათბირომ პირველი მთავარი საკითხი მუშათა კანონმდებლობის საქმეში. რასაკვირველია, აქ მოულოდნელი არა არის-რა, მაგრამ როგორღაც გონება ვერ ურიგდება იმ სამწუხარ მოვლენას, რომ „სახალხო წარმომადგენლობა", როგორის შედგენილობისაც არ უნდა იყოს იგი, ბიუროკრატიაზე უფრო რეაქციონური და მხდალი გამოდის ამ დიდმნიშვნელოვანს საქმეში... თავის-თავად ცხადია, რომ მომავალშიაც მუშათა შესახებ კანონმდებლობას უკეთესი ბედი არ მოელის მებატონეთა სათათბიროში.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 მაისი

### ოსმალეთი

**სალონიკი.** სასტიკმა სამხედრო ზომებმა თავისი გავლენა იქონია და ჩრდილოეთ ალბანიაში, გარდა დიბრის ოლქისა, მშვიდობიანობა ჩამოვარდა. დიბრის ოლქში სრული ანარქიაა, რადგან ამ ოლქში ჯარი არ გაუგზავნიათ. ჯავიდ-ფაშა 8 ბატალიონი ჯარით და 16 ზარბაზნით ალბანელების წინააღმდეგ მოქმედებს. ეხლა ალბანელები მორჩილებას აცხადებენ. იპეკის დამშვიდების შემდეგ ჯავიდ-ფაშა ლიაკოვოში წავიდა. შემდეგ შემოივლის ალბანიის ცენტრებს. დიბრში გაიგზავნა ორი ბატალიონი. მონასტირის დამშვიდებას ალბანელთა დეპუტატების იქ ყოფნამ შეუწყო ხელი, რადგან დეპუტატებმა აგიტაცია გასწიეს და ალბანელებს დამშვიდება ურჩიეს. ალბანელებს არ შეუძლიანთ შეკავშირდნენ და ისე იმოქმედონ ახალგაზრდა ოსმალთა კომიტეტის წინააღმდეგ, რადგან ალბანელთა მეთაურები ერთმანეთსა მტრობენ. ეს გარემოება ძალიან ხელს უწყობს ახალგაზრდა ოსმალებს წესიერების აღდგენაში.

**სტამბოლი.** გაზეთების სიტყვით, დროებით გადაიდო გენერალისიმუსს შევკეთ-ფაშას წასვლა იმ ადგილებში, სადაც მესამე და მეოთხე კორპუსებია დაბინავებული. შევკეთ-ფაშას წესიერება უნდა აღედგინა ამ ადგილებში. შევკეთ-ფაშა რომ წასულიყო, იმისი თანამდებობა სამხედრო მინისტრს უნდა ესრულებინა.

**სტამბოლი.** დღისით ხილმი-ფაშამ პალატაში და ფერიდ-ფაშამ სენატში წაიკითხეს სამინისტროს პროგრამმა. ხილმი-ფაშამ განაცხადა, რომ საჭიროა კონსტიტუციის გამლიერება და იმიტომ ვიკისრე დიდი ვეზირობა, რომ სწორედ ესა მქონდა აზრად დასახულიო. სამინისტრო კარგად იმუშავებს, თუ პალატა დაეხმარება და საკანონმდებლო და აღმასრულებელი მთავრობები შეთანხმებულად იმუშავებენ. ჯარმა და მისმა უფროსმა წესიერება აღადგინეს, მაგრამ საჭიროა ერთხელ მიღებული ზომები არ შევსწყვიტოთ, რადგან ამით შემდეგში უზრუნველყოფილი ვიქნებით 31 მარტის არეულობის განმეორებისაგანაო. ხილმი-ფაშამ მწუხარება განაცხადა ადანაში მომხდარ ამბებისა გამო. პროგრამაში ჩამოთვლილია ის ზომები, რომელიც მთავრობამ მიიღო ადანაში წესიერების აღსადგენად: ვალის გადაყენება, სამხედრო სასამართლოების დაწესება და საგამომძიებლო კომისიის გაგზავნა. ხილმი-ფაშამ იმედი გამოსთქვა, რომ მომავალში ამისთანა ამბები აღარ განმეორდება, მხოლოდ საჭიროა კონსტიტუციის განმტკიცებაო. პროგრამაში ჩამოთვლილია ის რეფორმები, რომელიც სამინისტროს განუზრახავს. რეფორმებს შემოიღებენ პოლიციის, საფინანსო, იუსტიციის და საზოგადო მუშაობის სამინისტროებში. პროგრამაში სურვილია გამოთქმული, რომ პალატა ჩქარა განიხილავს ბეჭდვითი სიტყვის და კრების შესახებ კანონ-პროექტს. ამას გარდა—პროგრამაში სამინისტრო აცხადებს, რომ ბიუჯეტი მხოლოდ 300,000 გირვანქით შევამცირეთო. დასასრულ, პროგრამაში სწერია: სხვა სახელმწიფოებთან სამინისტრო მეგობრულ კავშირს დაიჭერს, რაიც ოსმალეთს შეძლებას მისცემს თავისი ძალა და ღონე შინაურ რეფორმებს მოახმაროსო. პალატამ (191 ხმით წინააღმდეგ 5) და სენატმა ერთხმად ნდობა გამოუცხადა სამინისტროს.

### საზღვარ-გარედ.

**პარიზი.** ტულონის და დიუნკირხენის მეზღვაურების კავშირის საბჭოს მიერ გამოცხადებული გაფიცვა ვერ მოხერხდა.

**ბერლინი.** გაზეთის რედაქტორების კავშირის დელეგატთა კრებამ რეიხსტაგის სადგომში განიხილა სხვა და სხვა პროფესიონალური საკითხი, მათ შორის საკითხები მოხუცებულ და შრომის უნარ დაკარგულებს და ობლებს უზრუნველყოფის შესახებ.

### რუსეთი

**სარატოვი.** რაშტანოვკაში (ხვალინის მაზრა) დაიწვა 106 გლეხის სახლი. ქონება ვერ გადაარჩინეს.

**ორიოლი.** სასამართლო პალატამ პირველ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატს გლეხს კუკანოვს გადაუწყვიტა სამი თვით სატუსაღო. კუკანოვს ჰბრალდებოდა სოფ. მალოარხანგელსკში სარევოლიუციო სიტყვის წარმოთქმა.

**ნოვო-ჩერკასკი.** უსტ-მედვედიცკის მაზრაში თავს დაესხნენ მიხაილოვსკის ხაზინას. თავდამსხმელებს ხაზინის მოსამსახურეებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. თავდამსხმელნი გაიქცნენ.

**ორენბურგი.** ორ მაზრაში თოვლი მოვიდა. მინდორში დაიღუპა ცხვრის ფარები. სოფ. შიშკინში ქარიშხალმა სახლები დაანგრია. დაიღუპა რამდენიმე კაცი.

**პეტერბურგი.** 9 მაისს მოვიდა პროფესორი მეჩნიკოვი. 14 მაისს მეჩნიკოვი ქალაქის საბჭოს სადგომში ლექციას წაიკითხავს ხოლერაზე. ლექციას დაესწრებიან სამკურნალო და სხვა სამეცნიერო საზოგადოებათა წევრნი.

**კიევი.** დაიხურა საქარხნო ექიმთა კრება. კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც სურვილია გამოთქმული, რომ მუშები ქარხანაში მიღების წინ შეამოწმონ ხოლმე იმის გასაგებად, თუ რამდენად ჯანმრთელნი არიან.

**გელსინგფორსი.** გაზეთების სიტყვით, სენატი პეტერბურგში ფინლიანდიის კომისიაში მონაწილეობის მისაღებად შემდეგ პირებს გაჰგზავნის: ყოფილ სენატორს ნიუბერგს, პროფ. ტეერმანსონს, პროფ. სეტელეს, ბარონ პალმენს და მთავარეპისკოპოსს იოგანსონს.

**ბობროვი.** ღამე სატუსაღოდან 2 ტუსაღმა განიზრახა გაპარვა. მათ დაანგრიეს ფეჩი, ასულიყვნენ სატუსაღოს სახურავზე და იქიდან ძირს ჩასულიყვნენ, მაგრამ დარაჯებს შეუნიშნათ: ერთი ტუსაღი მოჰკლეს, მეორე დასჭრეს.

**კურსკი.** 10 მაისს ღამე თავს დაესხნენ შიმსკის მაზრის, სოფ. პოგიკენის მამასახლისს. წაიღეს 3,000 მანეთი, შემნახველი წიგნაკი და წაიყვანეს ორი ცხენი.

**ოდესსა.** ლანჟერონში კიდევ 72 ბაპტისტი დააპატიმრეს. მათ ნებადაურთველი კრება გაემართათ. მართმადიდებელ მისიონერის შუამდგომლობით ზოგიერთები გაანთავისუფლეს. წინად დაპატიმრებულებს გადაუწყვიტეს სატუსაღო ერთი კვირიდან—2 თვემდე.

## ახალი გადასახადი შავ-ქვაზე ფოთის სასარგებლოდ

(წერილი პეტერბურგიდან)

ბ-ნმა ნ. ნიკოლაძემ მარგანეცს ახალი ხარჯი დაადო ფოთის ნავთსადგურის „გასაფართოებლად", ფოთის ნავთსადგურის საქმეები კი ცნობილ ბუნგესა და პალაშკოვსკის სრულს განკარგულებაშია, ხოლო ბუნგე და პალაშკოვსკი დიდი „ტუზები" ბრძანდებიან და მათის დახმარებით ბ-ნი ნ. ნიკოლაძე ისეთს უცნაურ საქმეებსაც კიასრულებს, როგორიც ზემოხსენებული გარდასახადია. შავი ქვის მრეწველობა ისეც გვარიად არის შევიწროებული მთავრობის პოლიტიკით, საზღაპრო ტარიფით, გადაზიდვის მოუწყობლობით და სხვათი, მაგრამ არც ესა სცნეს საკმარისად და ეხლა ზოგიერთთა კაპრიზების დასაკმაყოფილებლადაც ხარჯს ადებენ. რასაკვირველია, ბ-ნი ნ. ნიკოლაძე მაშინვე თავის უსაზღვრო „ცოდნასა, გონიერებასა და მოხერხებას" დაიკვეხნის და სხვის უგუნურებასა და გაუგებრობას უბრალო ადებს. ამისათვის გვინდა გავაცნოთ საზოგადოებას, თუ რაგვარ საშუალებასა და ზომებს ხმარობს „ხერხიანი" ბ-ნი ნიკოლაძე თავის ამქრებით თვისის საწადელის მისაღწევად.

როგორც მოგეხსენებათ, სახელმწიფო სათათბიროში საგანი შავ-ქვაზე

გადასახადის დადებისა ფოთის ნავთსადგურის სასარგებლოდ ისე გავიდა, რომ არავის კრინტიც არ დაუძრავს წინააღმდეგ. როგორ მოხდა ესა, როცა ოპოზიციის უმეტესობა ამ გადასახადის წინააღმდეგი იყო? აი მოკლე ამბავი, მრავალ მნიშვნელოვანი.

კვირას, 19 აპრილს, ნაშუადღევის 3 საათზე გამოუცხადებია პრეზიდიუმს, რომ ორშაბათს, 20 აპრილისათვის, დანიშნულია ფოთის გარდასახადის საქმეო. გაუგია თუ არა ეს დეპუტატ შერვაშიძეს, მაშინვე დეპუტატ ეფრემოვისათვის წერილი გაუგზავნია და უთხოვია, მიშუამდგომლეთ სათათბიროს თავმჯდომარის წინაშე, რომ საგნის განხილვა გადასდოს, რადგან ავად ვარ და ხვალ ვერ დავესწრები, ხოლო ჩემი დასწრება აუცილებელია, რადგან სათათბიროს ისეთ საბუთებს წარვუდგენ, რომ შეუძლებელია დაეთანხმოს საფინანსო კომისსიის აზრს და, დარწმუნებული ვარ, იმ ცნობების შემდეგ, რომელსაც მე წარვადგენ, თვით კომისსიაც შესცვლის თავისს აზრსაო. ეფრემოვი მაშინვე მივიდა და სთხოვა სათათბიროს თავმჯდომარეს ხომიაკოვს, გადაედო ხსენებული საკითხი რამდენიმე ხნით, რათა დეპუტატ შერვაშიძეს შესძლებოდა ამ საგნის სავსებით გამორკვევა. ბ-ნმა ხომიაკოვმა ცხარე კამათის შემდეგ გადაჭრილი **უარი განუცხადა ბ-ნ ეფრემოვს**, და მაშინ ეფრემოვმა მიმართა კადეტების ფრაქციას, რომელმაც ერთხმად გადასწყვიტა, მხარი დაუჭიროს ბ-ნ ეფრემოვის წინადადებას და სთხოვოს სათათბიროს საზოგადო სხდომას საკითხის გადადების შესახებ. აქვე გამოირკვა, რომ რადგან ორშაბათს საავტორო უფლების შესახებ მოხსენება უნდა განხილულიყო, „ფოთის საქმე" თავისთავად გადაიდებოდა, ხოლო თუ იმ ორშაბათს ეს საგანი აღარ განიხილებოდა, მაშინ, როგორც ჩვეულებადაა შემოღებული ამგვარ კანონ-პროექტის შესახებ, მეორე ორშაბათამდე გადაიდებოდა და ამგვარად იქმნება საჭიროც აღარ ყოფილიყო საკითხის გადადების შესახებ თხოვნა.

მართლაც ეგრე მოხდა და „ფოთის საქმე" იმ ორშაბათს, 20 აპრილს, ვეღარ მოხვდა რიგში. ხოლო რადგან სჩანდა, რომ სათათბიროს თავმჯდომარე ხომიაკოვი მეტად დაინტერესებული იყო ამ კანონპროექტის საჩქაროდ განხილვაში*), ამიტომ საეჭვო გახდა, ვაი თუ ბ-ნმა ხომიაკოვმა ჩვეულების გარეშე ეს კანონპროექტი სამშაბათს ჩააჩხიროსო. ორშაბათს ნაშუადღევს გამოირკვა რომ მართლაც კანონპროექტი რიგს გარეშე სამშაბათის უწყებაში იყო შეტანილი. ამას სრულებით არავინ არ მოელოდა და ამიტომ კადეტთა პარტიისა და მშვიდობიან განახლების ფრაქციას, ასე ვთქვათ, გამოაპარეს კანონპროექტის განხილვა. ეს კიდევ არაფერი: უწყების მიხედვით „ფოთის საქმე" უნდა განხილულიყო სხდომის შესვენების შემდეგ, ამიტომ ეფრემოვიც იმ დროისთვის აპირებდა სათათბიროში შესვლას. მაგრამ წარმოიდგინეთ, როგორი იყო ჩვენი გაოცება, როცა დავინახეთ, რომ სხდომის შეწყვეტამდის „ფოთის საქმის" მომხსენებელი ბარონი ჩერკასოვი გაემართა ტრიბუნისაკენ ამგვარ „ჩერჩიანობით" გულ ამღვრეული ერთი დეპუტატი (არა კავკასიელი) მაშინვე ტელეფონს ეცა, რათა შეეტყობინებინა შერვაშიძისა და ეფრემოვისათვის, რომ კანონპროექტი ფოთის გადასახადის შესახებ რადაც უცნაურად მიდისო. მაგრამ ეფრემოვს ვერ მიაგნეს, ხოლო შერვაშიძის ტელეფონთანაც არავინ მივიდა. მაშინ თვით იმ დეპუტატს უნდოდა ეთხოვა დეპუტატთა საზოგადო კრებისათვის ეს საკითხი გადაედოთ, მაგრამ ვიდრე დაბრუნდებოდა დარბაზში, კანონპროექტი უკვე მიღებულ იქმნა. მთელ ამ პროცედურას დიდი-დიდი 10-15 წუთი თუ მოანდომეს.

საზღაპრო რამეა. ჭეშმარიტად უცნაურია ბ-ნი ნიკოლაძე. ძველის რეჟიმის ხავსით გაპერილი, დახავსებულის ხერხითა და ღონით საოცნებო საქმეებს სჩადის. არ ეშინიან კი, რომ საოცნებო კოშკებმა ხშირად საოცრად იციან დამსხვრევა. ეს კიდევ არაფერი, მაგრამ ის საზღაპრო კოშკები, რომელსაც ეხლა ბ-ნი ნ. ნიკოლაძე აგებს, სიბინძურითაა შეთითხნილი და იმის სახელს საუკუნოდ ასაფლავებს წუმპესა და სიბინძურეში. მარკოვი მეორე იყო თავგადადებული მისი მომხრე. დეპუტატმა გეგეჭკორმა და ზამისლოვსკიმ ბ-ნ ნ. ნიკოლაძის „ხერხიც" გამოამჟღავნეს და ეს სათათბიროში გამოფენილი მისი „ტიპები" თვით ბრალდებულთაგან უპასუხოდ დარჩა. ან კი რას დაეძებს ბ-ნი ნიკოლაძე — „გამარჯვება" მისია. ბურთი და მოედანი გააქვს. მაგრამ როდემდის.

ვ. ზ.

*) ბ-ნ ხომიაკოვზე უთუოდ გავლენა ჰქონდათ შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ მოხელეებს, რომელნიც თავგამოდებით იცავდნენ ბ-ნ ნ. ნიკოლაძეს.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **წლიურ კრების გადადება.** წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას დაუდგენია, ჩვეულებრივი წლიური კრება რომელიც მაისში იმართებოდა ხოლმე, ენკენისთვეში გამართოს.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ დაადგინა, მიმართოს სიფხიზლის საზოგადოებას, რომელიც თავის მოქმედებასა სპობს, და სთხოვოს, რომ იმ 12000 მანეთიდან, რომელიც ამჟამად საზოგადოების კასაში მოიპოება, სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოებას უნაწილოს რ.მე. გამგეობამ ამას გარდა განიხილა ეგნატე ნინოშვილის ძეგლის ამგებ კომიტეტის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ კვირას, 17 მაისს, გამგეობამ დაუთმოს ხსენებულ საზოგადოებას ზუბალაშვილის სახალხო სახლის დარბაზი ლექციის წასაკითხავად. გამგეობამ შეიწყნარა ეს თხოვნა. ლექციას ნინოშვილის შესახებ წაიკითხავს პ. გელეიშვილი.

✦ **ქალაქის საბჭო.** 11 მაისს მოხდა ტფ. ქალაქის საბჭოს სხდომა. განიხილეს, სხვათა შორის, საკითხი სესხის აღების შესახებ. მკითხველებს ეხსომებათ, რომ ქალაქის გამგეობამ ამას წინად დაადგინა იშუამდგომლოს ექვს მილიონ მანეთის (6⁰/₀) სესხის აღების შესახებ. გუბერნატორმა ეს არ დაამტკიცა იმ მოსაზრებით, რომ ქალაქი ვერ შესძლებს ამ თანხის დროზე განაღდებასაო და ამიტომ წინადადება მისცა ქალაქს, აიღოს სესხად $3^1/_2$ მილიონი მანეთი (5⁰/₀) 25 წლის ვადით. ქალაქის საბჭომ დაადგინა, აიღოს სესხად $3^1/_2$ მილიონი მანეთი ხუთი პროცენტის გადახდით. ამ ფულიდან 1.700,000 მანეთს წინანდელ ვალების გასასტუმრებლად გადასდებენ, ხოლო 1.300,000 ქალაქის ახალ საყასპოს მოსაწყობად. დანარჩენი ნახევარი მილიონი წვრილმან საჭიროებებს მოხმარდება

✦ **ქართული წარმოდგენა.** დღეს ზუბალაშვილის სახალხო სახლში დანიშნულია ქართული წარმოდგენა. წარმოადგენენ ახალ პიესას „ქრისტინე" დრ. 4 მოქ. და 5 სურ. პ. ირეთელისა. მონაწილეობს იღებს ქართულ მსახიობთა ამხანაგობა. წარმოდგენა დაიწყება საღამოს $8^1/_2$ ს.

✦ **„პრიკაზ"-ში დაგირავებული ადგილები.** როგორც ვაცით, ეგრედ წოდებულ ამიერ-კავკასიის „პრიკაზ"-ში თავად - აზნაურობის დიდძალი სოფლის მამულია დაგირავებული. ამ მამულების საქმის გამოსარკვევად, ნამესტნიკის ბრძანებით, შესდგა განსაკუთრებული კომისია, რომელშიაც შევლენ წარმომადგენელნი ფინანსთა და მიწათ-მოქმედების სამინისტროებისა, ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციისა და ადგილობრივ თავად-აზნაურობისა. თავმჯდომარედ დაინიშნა სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების გამგე ბეზობრაზოვი.

✦ **ბოროტ-მოქმედებათა სტატისტიკა.** პოლიცმეისტრის კანცელარიაში შეუკრებიათ სტატისტიკური ცნობები ტფილისში მომხდარ ბოროტ-მოქმედებათა შესახებ. იანვრის განმავლობაში მოხდარა 106 მოქმედება. აქედან 87 შემთხვევაში დამნაშავენი უკვე აღმოუჩენიათ, ხოლო 31 შემთხვევაში ვერ აღმოუჩენიათ ვერავინ. თებერვალში მომხდარა 89 ბოროტ-მოქმედება; დაუპატიმრებიათ 87 კაცი. მარტში — 88 ბოროტ-მოქმედება; დაუპატიმრებიათ 113 კაცი. ექვს შემთხვევის გამო ვერავინ ვერ შეუპყრიათ. აპრილში მომხდარა 96 ბოროტ-მოქმედება. დაუპატიმრებიათ 124 კაცი, ექვსი შემთხვევა გამოურკვეველი დარჩენილა.

✦ **პოლიტიკური საქმე.** 11 მაისს ტფ. სამოსამართლო პალატაში გაირჩა პოლიტიკური საქმე იურიევის სტუდენტის გ. ხირსელისა, რომელსაც ჰბრალდებოდა საიდუმლო სტამბის მოწყობა თელავში. პალატამ ხირსელი გაამართლა. ხირსელს იცავდა ნაფიცი ვექილი ი. მ. დოლუხანოვი. ხირსელი იურიევში დაიჭირეს და 8 თვეა მეტეხის საპყრობილეში ზის. თუმცა გაამართლეს, ჯერ მაინც არ გამოუშვიათ, რადგან 19 მაისს გამოაცხადებენ საბოლოოდ განაჩენს.

✦ ახალ-სენაკის მახლობლად, ურიასკარში ცეცხლს რამდენიმე ხუტუას საწყობი გაუნადგურებია. დამწვარა საწყობები რომ. მერცხულავასი, ბახვ. წირქვაძისა, თევ. მერცხულავასი და ილია ნადარეიშვილისა.

# მცირე განმარტება

(მეპტამბეთა და გამომცემელთა საყურადღებოდ)

ეს ერთი ხანია ჩვენს გაზეთში ზოგიერთი წერილი ერთგვარის ახალის ასოებით იბეჭდება, რომელიც ამ ახლო ხანში შეიძინა „სინათლის" სტამბამ. დღემდე ქართული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები ჩვეულებრივის „ვენისა" და „აკადემის" (ამათ „ციცეროს" სიმსხო აქვთ) ასოებით იბეჭდებოდა, იშვიათ შემთხვევაში კი კორპუსის სიმსხო „ვენისავე" („ციცეროზე" უფრო წვრილია) ასოებსა ხმარობდნენ, მაგრამ ამას ჩვენი მკითხველები ვერ შეეჩვივნენ და თუ გაზეთში ხშირად ვიხმარეთ, გვისაყვედურებენ — ძრიელ წვრილია, თვალებს გვიფუჭებსო.

დღეს არც ევროპაში და არც რუსეთში წიგნებში და განსაკუთრებით ჟურნალ-გაზეთებში „ციცეროს" სიმსხო ასოებს აღარა ხმარობენ, რადგან ძრიელ დიდ ადგილს იჭერს და იმდენი მასალა ვერ ეტევა, რამდენის ჩატევაც „კორპუსის" სიმსხო ასოებით შეიძლება. იქ არა ნაკლებ ხმარობენ აგრეთვე „პეტიტის" სიმსხო ასოებს აც, რომელიც „კორპუსზე" კიდევ უფრო წვრილია. იქაური გაზეთები თითქმის ნახევარი კორპუსისა და ნახევარი პეტიტის ასოებით იბეჭდება. ჩვენში კი „პეტიტის" სიმსხო ასოებით გაზეთში თუნდაც რომ დიდად საყურადღებო წერილი იყოს დასტამბული, მაინც დაეზარებათ წაკითხვა — წვრილიაო. ასე რომ ქართული „პეტიტის" ასო სრულებით არ არის ხმარებაში, რადგან მეტად პაწაწკინაა და იმის წასაკითხავად თითქმის გამადიდებელი მინაა საჭირო.

ნახევარი წელიწადი იქნება „დროებამ" ხმარებაში შემოიღო ერთგვარი „პეტიტის" სიმსხო ასოები, რომელსაც პარიზული ასო ჰქვიან, რადგან პირველად პარიზში შემოიღეს და ჩვენში იქიდან გადმოიტანეს ნიმუში. რის ყალიბებიც „ქართ. წიგ. გამომც. ამხანაგობის" ასოების ჩამომსხმელმა ქარხანამ შეიძინა. ეს „პეტიტის" ასო ვენურ „პეტიტის" ასოზე ბევრად მსხვილი სჩანს და უფრო გერმანულ ასოების ხასიათი აქვს. ამ ასოთი დღეს ჩვენს გაზეთში „რუსეთის ქრონიკა" იბეჭდება, მაგრამ, როგორც ზოგიერთებისაგან შევიტყეთ, ამაზედაც დიდ საყვედურს აცხადებენ — ძნელად იკითხებაო.

ასე რომ თუ დღეის შემდეგაც უხსოვარ დროიდან შემოღებულ ასოებით ვბეჭდეთ გაზეთი (იმ ასოებით, რომელსაც „ვენისა" და „აკადემიის" (ციცერო ჰქვიან), ბევრად ცოტა მასალას მოვათავსებთ შედარებით უცხო გაზეთებთან. მაგალითისთვის ავიღოთ თუნდა „დროება" და ამ ზომისავე რომელიმე რუსული გაზეთი. რომელში უფრო მეტი მასალა იქნება მოთავსებული და მეტი ასო იქნება ჩატეული? გამოანგარიშებიდან აშკარადა სჩანს, რომ თითქმის ერთი მეოთხედით ნაკლებია ქართულში მასალაცა და ასოც, ვიდრე რუსულში. ქაღალდი და ბეჭდვის ხელფასი კი ორივეზე ერთი და იგივე მიდის.

ეხლა ეს ნაკლულევანება სულ ადვილად შეუძლიათ თავიდან აიცდინონ ქართველმა გამომცემლებმა და ადვილად შეიძლება, ქართულ ჟურნალ-გაზეთებშიაც იმდენივე მასალა მოათავსონ, რამდენიც უცხო ქვეყნის გამოცემებშია მოთავსებული. „სინათლის" სტამბის მიერ შეძენილი ასოები, რომლითაც დღეს „დროება"-ში მოწინავე და ეს (მცირე შენიშვნა) იბეჭდება, „ვენის" ასოა კორპუსის სიმსხოზე ჩამოსხმული (ეს ასოები თითონ სტამბამ შეუკვეთა). რაც შეეხება ასოს შეხედულებას, ჩვეულებრივი ვენის ასოვეა, რომლითაც დღევანდელი ნომრის ზოგიერთი დანარჩენი განყოფილებებია დაბეჭდილი. თუ მკითხველი კარგად დააკვირდება, ამ ძველ (ციცერო) და ახალ (კორპუსი) „ვენას" (დღეს, მაგალითად, ახალით არის აწყობილი მეთაური, ძველით — დეპეშები), მათ შორის ბევრს განსხვავებას ვერა ნახავს, პირიქით ახალი ასოები უფრო ბევრად ლამაზია და წასაკითხათაც ადვილი. ხოლო რაც შეეხება ახალ (კორპუსის) ასოების სიპატარავეს, ყოველ გაზეთის სვეტში თვრამეტი სტრიქონი მეტი ეტევა ძველ ასოზე. თუ მთელი გაზეთი ამ ასოებით აიწყობა, გაზეთის ჩვეულებრივი ხუთი სვეტის ასო მეტი ჩავა. დიდი ეკონომია იქნება ამ ასოებით აწყობილ წიგნზე, ქაღალდიც ბევრად ნაკლები წავა.

„დროების" ასოთ-ამწყობი ივ. მჭ.

# ტრაგიკული გრძნობა ქართულს პოეზიაში

## ტრაგიზმი ბარათაშვილის ლირიკაში.

9*)

ჩვენ დავინახეთ, რომ ადამიანის ინდივიდუალურ და სოციალურ არსებობის ერთად-ერთ მიზანს ბედნიერება და შეუშფოთებელი კმაყოფილება რომ შეადგენდეს, ის უფრო მოკლე და მშვიდობიანს გზას აირჩევდა, რომელიც თუმცა მას საგმირო ბედისწერას არ უქადის, მაგრამ არც იმედის გაცრუებას უმზადებს. მაგრამ „ბოროტი სული", ჩვენივე ბუნების სიღრმეში შობილი და უნებლიეთ ჩვენ მიერვე ხმობილი ჩვენდა წინაამძღვარად, გვიწვევს იმ გზებზე სავლელად, რომელნიც ყველაზედ შორს არიან ბედნიერებასთან. და არა მარტო ცნობიერების ინსტინქტი, რომელმაც, საბიბლიო მოთხრობის თანახმად, სამოთხე დააკარგვინა პირველყოფილ ადამიანს, მოწმობს იმ აზრს, რომ ჩვენს სულიერს ყოფნას სხვა უაღრესი საძირკველი უდევს, ვიდრე უტილიტარული აწონ-დაწონვა სარგებლიანობისა და სიამოვნებისა: თვით ფაქტი ტრაგიკულ ხელოვნების არსებობისა შეუძლებელი იქნებოდა ფილისტერულს კმაყოფილებასა და მშვიდობიანობაზე დაფუძნებულს საზოგადოებაში, მით უმეტეს ის „ტრაგიკული კულტურა", რომელზედაც ხშირად ოცნებობს კაცობრიობა.

გრძნობა, რომელიც სჭარბობს ტრაგიზმში არის უსათუოდ ტანჯვა შეერთებული სიდიადესთან: იბრძვის, იტანჯება და ბოლოს იღუპება არა უბრალო, საშუალო ადამიანი, არამედ არაჩვეულებრივი პიროვნება, დიადი თვით შეცოდებასა და დანაშაულობაში. განსაკუთრებით ბარათაშვილის ტრაგიზმი, სადაც ტანჯვა საბედისწერო დამოკიდებულებაში იმყოფება სიდიადესთან, თითქო ის მხოლოდ იქიდან გამომდინარეობდეს და არავითარი მიზეზი არ საჭიროებდეს, განსაკუთრებულ პესსიმისტურს ელფერს აძლევს ამ ქვეყნიურს არსებობას: „რა ქვეყანაა ის ქვეყანა, სადაც ტანჯვა და ტრაგიკული განადგურება აუცილებელი ხვედრია ყოველ დიად არსებისა, რომელიც ყველაზედ უფროა ღირსი ბედნიერებით და კმაყოფილებით სტკბებოდეს!". მაგრამ თუმცა ეს ტრაგიზმი მსოფლიო ყოფნის ბნელს და საშიშს მხარეებს ააშკარავებს, მიუხედავად ამისა, ყოველი ჩვენგანი ჰგრძნობს იმ აუტანელს სიტკბოებას, რომელიც სწორედ ტრაგიკულმა ხელოვნებამ აიყვანა უმაღლესს წერტილზე.

ეს არის **სიტკბოება ტანჯვისა** ანუ „ტანჯვის სამოთხე", როგორც ი. ჭავჭავაძე ამბობს ერთს თავის ლექსში, ერთი იმ ამოცანათაგანი რომლითაც ასე მდიდარია ჩვენი ფსიხიური ბუნება. ადამიანი ხშირად სიტკბოებას ჰხედავს არა მარტო თავის მტრისა და მოწინააღმდეგის, არამედ საყვარელი არსების ან და თავისივე თავის ტანჯვაში; ხშირად ის პირდაპირ ულმობელია თავის მახლობელის ან თავისივე პიროვნების წინაშე, შეუბრალებლად ატიტვლებს თავის ძველს ჭრილობებს, აახლებს განვლილს ტკივილებს, ეშვება უკვე გამთელებულ სულის სიღრმეში და ჰქმნის ახალს წყაროს ტანჯვისა და მწუხარებისას. ჩემის აზრით, ამ მოვლენის ახსნა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ვიხელმძღვანელებთ იმ შეხედულებით, რომ ადამიანის ინდივიდუალურ და სოციალურ ცხოვრების და მოქმედების მიზანს პიროვნების გაფართოვება შეადგენს და არა „მეშჩანური" ბედნიერება. და მართლაც, თითქმის არსად არა ჰგრძნობს ისე აშკარად ადამიანი თავის პიროვნებას, მე თავის საზღვრების გაფართოვებას, როგორც ტანჯვაში და, საზოგადოდ, ტრაგიკულ ბედის განცდაში. აქ როცა საშიში გარეგნული ძალა ან შინაგანი განხეთქილება განადგურებას და სრულ მოსპობას უქადის ადამიანს, მას შეუძლიან გამოაშკარაოს მთელი თავისი თავისებურება და სიძლიერე, აიყვანოს და დაავანოს თავისი პიროვნება ადამიანობის უმაღლეს საფეხურიდან. ტანჯვა ფასსა სდებს და აკეთილშობილებს უსაზიზღრესს არსებასაც: თუ მას შეუძლიან გამოიჩინოს როდისმე რაიმე ადამიანური ღირებულება, ამას ის ყოველს შემთხვევაში მაშინ მოიმოქმედებს, როცა იგი იტანჯება და იღუპება. ტანჯვა და ტრაგიკული სიკვდილი უბრუნებს ადამიანს წართმეულს ღირსებას, გვარიგებს მის ნაკლულევანებებთან და ნათელს ჰფენს მის საუკეთესო მხარეებს. ტრაგიკული განსაცდელი უდიდესი და უტყუარი საშინჯია პიროვნების ავკარგიანობის, მისი სიმხდალისა და სულმოკლეობისა ან მისი გმირობისა და სულდიდობისა: დეზდემონა ანგელოზისებრ სინაზეს ქმრისადმი და სიყვარულის განუზომლობას მაშინ იჩენს, როცა საშინელი კატასტროფა მოახლოვებულია, მაკბეტის დანაშაული მაშინ ხდება ადამიანურად, გასაგები და მისატევებელია, როცა სინიდისის ქენჯნა და სულიერი გათიშვა შეუძლებლადა ჰხდის მის არსებობას და ღუპავს მტერთან ბრძოლაში. ისტორიულს პირებს შორის რობესპიერმა, დანტონმა და ნაპოლეონმა უდიდესი მხარეები თავიანთ ბუნებისა ტრაგიკულს კატასტროფაში გამოააშკარავეს და ამით თავიანთი მრავალ-მხრივი ნაკლულევანებანი ჩაჩრდილეს: ნაპოლეონმა თავისი სამხედრო გენიოსობა ლეიპციგის დამარცხების შემდეგ აიყვანა იმ სიმაღლეზე, რომელზედაც ის შეიძლება თავის უბრწყინვალესს გამარჯვებაშიაც არ ასულა.

აქ, ტრაგიკულს საფრთხეში და ტანჯვაში ჰგრძნობს მე თავის ბატონობის სფერის გაფართოვებას ხშირად იმ საზღვრებამდი, რომელიც მისაწვდომია საზოგადოდ მომაკვდავისთვის. ამიტომ იგი ზოგჯერ მზადაა შესწიროს ერთს დიდს მომენტს ბედნიერებაც, კეთილდღეობაც და თვით ცხოვრებაც. ამით აიხსნება ის ერთის შეხედვით უცნაური გარემოება, რომ დიადი პიროვნება ბარათაშვილის მხედარივით გაურბის მშობლების „მშვიდობიან კერას", „ტკბილ-მოუბარ სატრფოს", უზრუნველ-ყოფილს არსებობას, რომელიც უშფოთვრად დამთავრდებოდა „წინაპართა საფლავებს შორის დამარხვით" და უკან დარჩენილ მახლობელთა „დატირებით", და სტოპავს თავგანწირულების მღელვარე ზღვაში იმის საძებნელად, რაც მას არ დაუკარგნია და ბედშავი იმის გამო, რომ მან ბევრი დაკარგა. ბარათაშვილის „მერანი" დიად მეს ტრაგიზმია, რომელიც ეძებს არა ბედნიერებას, არამედ თავის პიროვნების უსაზღვროდ გაფართოვებას, რომელიც სცდილობს თავის ფარგალით შემოზღუდოს მსოფლიო მსვლელობა, თავის ბატონობას დაუმორჩილოს უზენაესნი ძალნი, თავის გულის მესაიდუმლედ „თანამავალნი ვარსკვლავნი" გახადოს, ხოლო თავის ჰგრიხუფლად და უბედურების თანამოზიარედ ქარიშხალი და ელვა ჰქნას; ეს არის ტრაგედია ადამიანისა, რომელიც უძლეველ, არაადამიანური ვნებათა ღელვის ექსტაზში ლამობს გულში ჩაიკრას და განუშორებლივ შეიერთოს მთელი სამყარო, წაშალოს საზღვრები ინდივიდუალურსა და აბსოლუტურს შორის.

რომ ადამიანის მოქმედების უაღრეს მიზანს პიროვნების უსაზღვრო გაფართოვება შეადგენს და არა ბედნიერება, ეს ბარათაშვილმა ნათლად გამოსთქვა თავის მეორე ლექსშიც: „ფიქრი მტკვრის პირად".

მაინც რა არის ჩვენი ყოფა, წუთი სოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?
ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს,
და, რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, იგი ეკმაროს?

და თვით ისინიც კი, ვინც საზოგადოებრივ ცხოვრების უმაღლესს საფეხურზე სდგანან და შეძლება აქვთ დასტკბენ ამ ქვეყნიურ ბედნიერებით, შფოთვენ და დრტვინავენ, ეძებენ ახალს სახიფათო, ხშირად დამღუპველს შეტაკებებს, მხოლოდ იმიტომ რომ გააფართოვონ სფერა თავიანთ ბატონობისა. ეს შოპენჰაუერისებური შეხედულებაა ადამიანის ნების ყოფაზე, მის შეუჩერებელს ლტოლვაზე, მის დაუცხრომელს წყურვილზე და აქედან გამომდინარე ტანჯვაზე. ნებისყოფა რომელსაც ყოველს წუთში სურს მეტი, ვიდრე მას აქვს, რომელსაც არსებული მდგომარეობა არასოდეს არ აკმაყოფილებს და ყოველთვის ილტვის გადააბიჯოს მის საზღვრებს, უთითებს იმ გარემოებაზე, რომ ჩვენ არსებითად ვართ იმაზე მეტი, რაცა ვართ, რომ თვითეულს ჩვენს დროებით და სივრცით განსაზღვრულს მოქმედებაში იხატება, თან ვერც იხატება სამყაროს ტრანსუბიექტიური, მეტაფიზიკური დედაარსი. ამიტომ შეიძლება მხოლოდ თვითეული, განცალკევებული ნების აქტის დაკმაყოფილება და არა ნებისყოფის საზოგადოდ, ამ ჩვენი მგოსნის სიტყვით „აროდეს აღუვსებელი საწყაულის". ბარათაშვილის „მერანივით" ნებისყოფა მიილტვის არა იმ მიზნებისკენ, რომელიც გონებას მისგან დამოუკიდებლად შეუძლიან მას დაუსახოს, არამედ, პირიქით, მისი უანგარიშო ლტოლვა და ღელვა უკარნახებს გონიერებას მიზნებსაც და ღირებულებათაც. ნებისყოფა და, მაშასადამე, არსებითად მთელი მსოფლიო ალოღიკური, ირრაციონალურია: მისი სურვილი და ლტოლვა უმიზნოა ისევე, როგორც მისი ტანჯვა უმიზეზო.

შოპენჰაუერისთვის ინდივიდუალური, ცნობიერებით განათებული არსებობა ირრაციონალობის უსაშინელესი მოვლინებაა: აქ შეტაკება და გარდაუვალი, შეურიგებელი წინააღმდეგობა უსისტემო და უსაზღვრო ნებისყოფასა და ყოველთვის ზომიერს სისტემატიურს და განსაზღვრულს მიწიერებას შორის შობს იმ აუტანელს ტრაგიზმს, რომელიც, მისის აზრით, დამახასიათებელია ადამიანურ ცხოვრებისთვის. ერთად-ერთი გამოსავალი ამ მდგომარეობიდან არის ძირიანად მოსპობა ინდივიდუალურ ყოფნისა, მოსპობა ნების ლტოლვისა ცხოვრებისადმი, რეზიგნაცია, დაბრუნება ფენომენალურ, შეგნებულ პიროვნებისა შეუგნებელ, განუყოფელ აბსოლუტურ ნებისყოფის წიაღში. მაგრამ მაშინ როდესაც

*) იხ. „დროება", N 100. ამ ფელეტონის პირველ სათაური (ტრაგიზმი ბარათაშვილის ლირიკაში) უნდა ყოფილიყო მეშვიდე თავის წინ, მაგრამ შეცდომით გამოტოვებულ იქნა.

# ოსმალეთი

### კრიტოსის საქმე.

„რუს. სლოვო“-ს ატყობინებენ ლონდონიდან: „აქაურ პოლიტიკურ წრეებს მეტად სწყინთ, რომ ახალგაზდა ოსმალები ასეთის ნდობით უყურებენ გერმანიას. ინგლისელი დიპლომატები ყოველნაირად ცდილობენ გერმანიის გავლენის დასუსტებას ოსმალეთში.

ამის გამო აქ აღარ თხოულობენ კრიტოსის შეერთებას საბერძნეთთან. თუ ვინიცობაა კრიტოსის თაობაზე საბერძნეთსა და ოსმალეთს შეტაკება მოუვათ, ინგლისი არ დაეხმარება საბერძნეთს.

ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროს ერთმა გავლენიანმა წევრმა მოწინავე წერილი დაბეჭდა გაზ. „ტაიმს“-ში. ამ წერილში სხვათა შორის გამოსთქვა აზრი, რომ კრიტოსის საქმე თითონ საბერძნეთმა და ოსმალეთმა უნდა გადასწყვიტონ ორთ, სხვა სახელმწიფოების დაუკითხავადაო. ინგლისი დასთანხმდება ყოველნაირ გადაწყვეტილებას, რომელსაც მიიღებს ამ საქმეზე ეს ორი სახელმწიფო, მაგრამ არას დროს არ დასთანხმდება, რომ საბერძნეთმა თავის ნებით შეიერთოს კრიტოსი. თუ საბერძნეთი ომს გაჰბედავს, მაშინ პასუხიც თითონ უნდა აგოს, თუ დამარცხდა, ინგლისი არ დაეხმარება. აბდულ-ჰამიდის დროს სამუდამოდ გაჰქრა, და ახალგაზდა ოსმალეთს უფლება აქვს სრულიად ისარგებლოს თავის იარაღს გამარჯვებით“.

### ქრისტიანები ოსმალეთის ჯარში.

მაკედონელი ბოლგარები მოუთმენლად ელიან, რომ პარლამენტმა დაამტკიცოს კანონ-პროექტი, რომლის თანახმად ქრისტიანები მიიღებიან ოსმალეთის სამხედრო სამსახურში. ჯერ-ჯერობით გენერალისიმუსი შევკეთ ფაშა დაჰპირდა ქრისტიანებს, თავისუფალ მეომრებად მიგიღებთ ჯარშიო. ბევრი ბოლგარი მეტადრე სანდანსკის რაზმში ნამყოფები, აპირებს ოსმალეთის ჯარში შესვლას.

### ს ა ნ დ ა ნ ს კ ი.

დიდმა ვეზირმა ხილმი-ფაშამ მიიღო მაკედონელ ბოლგარების ერთი მეთაური ცნობილი სანდანსკი და მადლობა გადაუხადა იმ დახმარებისთვის, რომელიც ახალგაზდა ოსმალებს გაუწიეს მაკედონელმა ბოლგარებმა რეაქციის წინააღმდეგ.

# სპარსეთის ამბები

### ოსმალეთის ჯარი სალმასტში

ტფილისში კიდევ მიიღეს კერძო ცნობა, რომ ოსმალეთის ჯარმა ქალ. სალმასტი დაიჭირაო. ჯერ-ჯერობით სალმასტში რამდენიმე ათასი ოსმალელი ჯარის-კაცი მისულა.

### თეირანის აღება.

ბაქოდან დეპეშით ატყობინებენ „ზაკავკაზიე“-ს: „მეორე დღეა, რაც აქ ხმა გავარდა, რომ სპარსელმა რევოლიუციონერებმა თეირანი და ბაღეშაჰი აიღესო. ელიან ნამდვილ ცნობებს. ტელეგრაფის მავთული სპარსეთისკენ შეწყვეტილია“.

### ლურჯი წიგნი სპარსეთის საქმეებზე.

წარსულ წლის ნოემბრიდან ინგლისის პოლიტიკა სპარსეთის საქმეებში შესამჩნევად შეიცვალა. იგი ისე მკაცრად აღარ უშლიდა რუსეთს სპარსეთის საქმეებში ჩარევას.

სხვათა შორის აქ უნდა მოვიხსენოთ ის გარემოებაც, რომ სწორედ ამ დროს გავლენიანმა ინგლისურმა გაზეთმა „ტაიმს“ მა, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს ეხლანდელ გარეშე საქმეთა სამინისტროსთან, გამოცვალა თავისი თავრიზელი კორესპონდენტი, რომელიც თავის დეპეშებსა და კორესპონდენციებში აღტაცებით და თანაგრძნობით ასწერდა თავრიზელ რევოლიუციონერების ბრძოლას რეაქციონერების წინააღმდეგ და რომელმაც სათარ-ხანისა და ბაღირ-ხანის სახელი მთელ განათლებულ ქვეყნიერობაზე მოჰფინა. უცხოეთის გაზეთები ირწმუნებოდნენ, რომ „ტაიმს“-მა თავრიზელ რევოლიუციონერების თანამგრძნობი კორესპონდენტი რუსეთის მთავრობის თხოვნით გამოსცვალაო.

იმ დღეს, რა დღესაც გამოიცა ლურჯი წიგნი, ლიბერალი პონსონი შეეკითხა პარლამენტში მთავრობას: „იცის თუ არა ინგლისის მთავრობამ, რომ რუსეთს განუზრახავს თეირანიდან რეშტსა და ენზელში მომავალ სავაჭრო გზის დაჭერა და მის დაცვა რევოლიუციონერების წინააღმდეგ“. გარეშე საქმეთა მინისტერმა გრეიმ უპასუხა: რამდენადაც ვიცი, თუ ვინიცობაა ამ გზაზე, რომელიც შეადგენს რუსეთის კონცესიას, მიმოსვლას შესწყვეტს რომელიმე პოლიტიკური პარტია, რუსის მთავრობა საჭიროდ ჩასთვლის ღონისძიების მიღებას იმისათვის, რომ თეირანიდან ევროპისკენ მომავალი უმთავრესი გზა არავინ შეკრას და რუსეთის ქვეშევრდომებს არა დაუშავდეს რა. მაგრამ, ჯერ-ჯერობით მაინც, ასეთ ღონის ძიების მიღება არ ჩაითვლება საჭიროდ“. ამ პასუხიდან ჩანს, თუ რა ლმობიერად უცქერის ამ ჟამად გრეი რუსეთის ჩარევას სპარსეთის საქმეებში. მის პასუხის თაობაზე ერთი ლიბერალური ინგლისური გაზეთი შეჰნიშნავს: „ვსთქვათ, რომ ლანკაშირ-ირკშირის რკინის გზის (ინგლისშია ეს გზა) აქციების დიდი ნაწილი იყოს გერმანელ კაპიტალისტების ხელში. მაშ იმავე საბუთით თუ ამ გზაზე გაფიცვა მოხდება, გერმანიას უფლება ექნება რამდენიმე პოლკი გაგზავნოს ინგლისში“.

ინგლისის მთავრობის მიერ გამოცემული ლურჯი წიგნი მეტად უნუგეშოდა ჰხატავს სპარსეთის შინაგან მდგომარეობას. მთავრობა საშინელია, მაგრამ ხალხსაც, რომელსაც დესპოტიზმა დიდი ხანია მოუკლა საზოგადოებრივი სული, არ შეუძლიან მსხვერპლის შეწირვა საზოგადო საქმისთვის. ხოლო უმსხვერპლოდ შეუძლებელია ქვეყნის აღორძინება. ყველაზე საშინელ იარას წარმოადგენს სპარსელების ძლიერი უნდობლობა ერთმანეთისადმი. ეს უნდობლობა შეუძლებელსა ჰხდის ხალხის საერთო მოქმედებას.

ლურჯი წიგნი შეიცავს საინტერესო ცნობებს თეირანის ყაზახთა ბრიგადაზე. როდესაც ლიახოვი, რომელიც წინად ითვლებოდა მთავარ შტაბის აფიცრად ტფილისში, 1906 წელს გადმოსახლდა თეირანში და ბრიგადის უფროსობა ჩაიბარა, 1500 ყაზახიდან, რომლებიც ნომინალურად ითვლებოდნენ ბრიგადაში, თეირანში ნამდვილად იმყოფებოდა სულ 700—800 ყაზახი. მათგან 204 კაცს აფიცრის ჩინი ჰქონდა, ხოლო 30—გენერლის ჩინი. იმ ფულის უმეტესობა, რომელიც იხარჯებოდა ბრიგადაზე, ჰნთქავდნენ ეს მუქთაყლაპიები, და ლიახოვს დიდი მეცადინეობა დასჭირდა, რომ ენ ბრიგადა დონეზე მოეყვანა. თუ ბრიგადას ეხლა ბრძოლის თავი აქვს, ეს განსაკუთრებით რუსის აფიცრების უნარია.

ამის თაობაზე გერმანულ გაზ. „ფრანკფ. ცაიტუნგ“-ის ლონდონელი კორესპონდენტი შეჰნიშნავს: „რუსეთის მთავრობა, როგორც ვიცით, აცხადებს, ვითომ ეს რუსის აფიცრები, რომლებიც შეადგენენ რეაქციონერ შაჰის და მის კამარილიის უმთავრეს ბურჯს, მე არ მეკითხებიანო: ისინი თითონ თავის ნებით შევიდნენ სპარსეთის სამსახურშიო. ცხადია მხოლოდ ის, რომ სპარსეთში ამ რუსებს არავინ არა სთვლის არა-რუსებად. როდესაც 1908 წელს ივნისში შაჰმა მეჯლისი გაანადგურა, მაშინ ბრძოლის დროს მეჯლისის დამცველებმა არც ერთი ტყვია არ ესროლეს რუსის აფიცრებს, თუმცა ისინი გამოსაჩენ ადგილას იდგნენ. ინგლისის რწმუნებული ამბობს: მეჯლისის დამცველებმა იმიტომ არ ესროლეს რუსის აფიცრებს, რომ ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ერთი რუსის აფიცერიც რომ მოკლას ვინმემ, რუსეთის მთავრობა უთუოდ ჩაერევა სპარსეთის საქმეებშიო. სოლცარი ლოგიკაა: რუსებს შეუძლიანთ ესროლონ სპარსელებს, რადგან ეს მათიკერძო საქმეა, სპარსელებს-კი ნება არა აქვთ რუსებს ხმა გასცენ“.

### რევოლიუციონერების მოთხოვნა.

კაზვინელმა რევოლიუციონერებმა მოსთხოვეს რუსეთის საელჩოს, რუსის ჯარმა დაუყოვნებლივ დასცალოს თავრიზიო.

### რუსის ყაზახები თავრიზში.

4 მაისს რუსის ყაზახმა ქუჩაში წააქცია ერთი ყრუ ბერიკაცი, რომელსაც დაუშავდა თავი და მკერდი რადგან ამას წინად თავრიზის ენჯუმენმა დაჭრილ რუს ჯარის-კაცის სასარგებლოდ 3,500 თუმანი გადაიხადა, ამიტომ ეხლა, როგორც ისმის, იგი საზღაურს მოსთხოვს რუსებს დაშავებულ ბერიკაცის სასარგებლოდაო.

# ცოტა რამ მწერლობაზე

(პოპულიარულ-იუმორისტიული ნახატებიანი ალმანახის „ქორწინების“ გამოც.)

გაზ. „ჩვენი აზრის“ მეოთხე ნომერში განცხადება წავიკითხე, რომ ტფილისში განუზრახავთ ყოველკვირეულის იუმორისტიულ-სალიტერატურო ალმანახის გამოცემა. აქვე განცხადებაში სწერია, რომ ალმანახში დაიბეჭდება სამეცნიერო წერილებიცაო. ამ ალმანახის ინიციატორები გვპირდებიან აგრეთვე, რომ ამ ალმანახში ადგილი არ ექნება „პორნოგრაფიულ და გამრყვნელ წერილებსაო“.

სწორედ ვერ გამიგია—რად დაჰპირდათ ბ-ნ ინიციატორებს ასეთი აღსარება?! ვინ ეუბნებოდათ, რომ თქვენი ალმანახი პორნოგრაფიული იქნებაო? აქ რაღაც დაფარული სულის-კვეთებაა! რაღაცა უნდა აწვალებდეს ალმანახის ინიციატორებს, თორემ ასეთი განცხადება ზედ-მეტათ მისაჩნევია. შესაძლოა ამათ შესახებ იყოს ნათქვამი—„ქურდს ქუდი ეწვისო“. ვინ იცის, მოვიცადოთ და ვიხილავთ.

ქართველი ხალხის პროგრესიული ნაწილი ყოველთვის სიხარულით უნდა ეგებებოდეს ახალ ორგანოს გამოსვლას და ასეც გახლავთ, მაგრამ ამავე დროს ქართველ საზოგადოების მოწინავე ელემენტები ვერ შეეგუებიან ისეთ ორგანოს, რომელსაც აზრად ექნება კომერციული ანგარიშები, ანდა რომელიც გამოწვეული იქნება ლიტერატორის სახელის მოხვეჭის მოსაზრებით. დღეს, ჩვენ ვიცით, ბევრსა აქვს აშლილი სალიტერატურო იმწერლოს, რამე სჯღაბნოს, მაგრამ ამავე დროს თავის თავს არ აძლევს ანგარიშს, შესწევს თუ არა ძალა სწეროს ისეთი რამ, რასაც ხალხისთვის სარგებლობის მოტანა შეეძლება.

მინდა ავღნიშნო ერთი ფრიად სასიამოვნო მოვლენა ქართულ მწერლობაში. როგორც მკითხველ საზოგადოებას მოეხსენება, ამ ბოლო ხანებში რეაქციის თავის ამოყოფით თავი იჩინა რუს[illegible] ლიტერატურაში პორნო[illegible] [illegible] რებმა და [illegible] გაზდობის-სულ[illegible] დღეს ასეთ [illegible] -ბა და ისევ საღ, წმიდა პროგრესიულ ლიტერატურისკენ მიიბრუნა პირი ახალგაზდობამ. აი, სწორედ იმ დროს, როცა რუსეთის ლიტერატურაში ფეხი მოიკიდა პორნოგრაფიამ, ჩვენი ქართული პრესსა და, საზოგადოდ, მწერლობა არ დაემორჩილა მის გავლენას და არ აჰყვა ფეხის ხმას. მე ეხლა შეუძლებლად მიმაჩნია ჩვენში პორნოგრაფიულ ლიტერატურის აღორძინება. შესაძლოა, ჩვენშიაც მოიპოვებოდნენ დაბალი ხარისხის ვითომდა მწერლები პორნოგრაფიის თაყვანისმცემელნი, მაგრამ მათ კარგათ იციან ჩვენი მწერლობის მიმართულება და ხალხის სულიერი მოთხოვნილებანი და ამიტომ დღემდის და ვერც შემდეგშიაც ასეთი ჯურის ლიტერატორები სამწერლო ასპარეზზე ჩვენში ვერ გაჰბედავენ ამოცოცებას—ხალხის რისხვას ისინი ვერ გაუძლებენ.

მაგრამ, ცოტა არ იყოს, მაინც ეჭვი მებადება აღნიშნულ ალმანახის „ქორწინების“ შესახებ და ვფიქრობ, ვაი თუ ეს ალმანახი გახდეს გამომხატველი „უმწეო და უპატრონო გასათხოვარ ქალების და ბავშვების ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოებისა“, და შესაძლოა ამ საზოგადოებამ პატრონობის და დახმარების მაგიერ უმწეო ხალხს ზარალი და ვნება მოუტანოს, როგორც ზნეობრივი, ისე ნივთიერი.

კერძო პირებზე ლაპარაკი არა ღირს, მაგრამ განცხადებაში მოთავსებული აზრი—„ჟურნალში მიიღებენ მონაწილეობას საუკეთესო მოღვაწენიო“, ესეც მაკვირვებს. რა იქნებოდა ინიციატორებს დაესახლებინათ ეს „საუკეთესო მოღვაწენი“. ნეტავ ვინ არიან ასეთი კაცთ-მოყვარენი, რომელნიც ძლიერ გაუტაკებიათ „უპატრონო გასათხოვარ ქალების“ ბედ-კრულ ცხოვრებას? გულთმისნობას მოკლებული ვარ, მხოლოდ ჯერჯერობით განცხადებაში თვალი მოვკარი „მიმინოს“ სახელს, (ეს ფსევდონიმი გახლავთ ერთი მოშაირესი) და ვერ გამომიც-

---

შოპენჰაუერისთვის ინდივიდუალურს არსებობას თავის თავად არავითარი ფასი არა აქვს, მაშინ როდესაც მას არ შეუძლიან რაიმე ღირებულება შეჰმატოს ნამდვილს სინამდვილეს, მაშინ როცა მისი ერთადერთი ღირსებიანი მიზანი თავის ინდივიდუალობის მოსპობაა, შედუღება მეტაფიზიკურს დედა არსთან, რომელიც თავისუფალია ინდივიდუალიზაციისაგან, ბარათაშვილისთვის ამავე არსებობას აქვს რეალური ფასიც და აზრიანი შინაარსიც:

> მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან—შვილნი სოფლისა,
> უნდა კიდეცა მვდიოთ მას, გვესმას მშობლისა;
> არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
> იყოს სოფელში და სოფელსა კი არა რა არგოს!

### 10.

ჩვენ დავინახეთ, რომ იმ ზოგად მეს ტრაგიზმისთვის, რომელიც გამოიხატა ბარათაშვილის პოეზიაში, დამახასიათებელია უსაზღვრობა სურვილისა და მისწრაფებისა, რომელიც ბედნიერებასაც კი გაურბის, თუ კი ამ ბედნიერებაში იგი თავის პირადულ საზღვრების შევიწროვებასა ჰგრძნობს. ეს არის ბრძოლა მესი არა გარეშე ხილულ მტერთან, არამედ თავის თავთან, თავის საბედისწერო აუცილებლობით მოფარგლულ საზღვრებთან, რომელიც მით უფრო ბედშავი და საშიშია, რომ მისი დაცხრობა კიდევ უფრო ნაკლებაა შესაძლებელი, ვიდრე სხვა ნამდვილ ტრაგიკულ კონფლიქტის ახსნა. არსებითად მესთვის ყოვლად შეუძლებელია თავის საზღვრებიდან, თავის ბედისწერის კლანჭებიდან თავის დაღწევა: ყოველი ახალი საზღვარი, რომელსაცა ჰქმნის მე თავის მისწრაფებაში აბსოლიუტისადმი, ისევე ინდივიდუალური, თავისებური და განსაზღვრულია, როგორიც ყოველი ძველი და ყოველ ახალ წრეს, რომელსაც ფარგლავს მისი რადიუსი, ერთი და იგივე უცვლელი ცენტრი აქვს. ამიტომ ბარათაშვილის სიტყვები—

> გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის საზღვარი,
> თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი!

გამომხატველია ადამიანის სასოწარკვეთილ, მაგრამ ამაო ცდისა, რომელიც უსათუოდ დამარცხებით დამთავრდება.

უწინარეს ყოვლისა თვითეული მეორე ინდივიდუალური მე აბსოლუტური და მუდმივ გარდაუვალი ზღუდეა ყოველ მომაკვდავ არსებისთვის. მას შეუძლიან მოსპოს სფერა მისი ბატონობისა, ან დაუქვემდებაროს თავის გავლენას, გაანადგუროს მისი მატერიალური კეთილდღეობა, დაეპატრონოს თვით მის აზრებს, ნების ყოფას, მოქმედებებს, დაიმონოს მისი უიდუმლესი განზრახვანი და გულისთქმანი, თავისი დაღი დააჩნიოს მის სულიერს შემოქმედებას ან და სრულიად მოსპოს და მიწის ზურგიდან აღგავოს მისი არსებობა,—ცენტრი იმის განსხვავებულ, განუმეორებელი ყოფნისა მაინც მუდმივ მიუწდომელი, ხელუხლებელი დარჩება მასთვის. მიტომ რომ ინდივიდუალობის საძირკველს შეადგენს არა ესა თუ ის მატერიალური ურთიერთობა, არა ესა თუ ის სულიერი წყობილება, შეხედულებათა, ცოდნათა და გამოცდილებათა სისტემა, არა „პერცეფციათა კავშირი“ (**დ. ჰიუმი**), არა „აზრთა მიმდინარეობა“ (**ვ. ჯემსი**), რომელთაგან თვითეულს ადვილად შეუძლიან ათასჯერ განმეორდეს, არამედ აუწერელი, მიუწდომელი გრძნობა მეობისა, რომელსაც ყოველ ჩვენგანს თან დასდევს აზროვნებაშიც და უაზრობაშიც, მოქმედებაშიც და უმოქმედობაშიც, სიფხიზლეშიც და ოცნებაშიც, ნების ლტოლვილებაშიც და მოდუნებაშიც. და აი ეს ელემენტარული, ყოველ გარეშე ძალისთვის აბსოლუტურად მიუწდომელი გრძნობა, რომ მე მეა და არა სხვა რაიმე, შეუძლებლად ხდის იმ საბედისწერო ტრაგედიის მშვიდობიანად დამთავრებას, რომელიც ასე დამახასიათებელია კაცობრიობისთვის და რომელიც სხვა და სხვა ნაირად გამოიხატა გოეტეს „ფაუსტში“, ბაირონის პოემებში, იბსენის „ბრანდში“ და ბარათაშვილის პოეზიაში.

მეორე მნიშვნელოვანი ზღუდე, რომელსაც ვერასოდეს ვერ გადააბიჯებს პიროვნება, არის დროების მიერ შექმნილი საზღვრები. აქ ადამიანისთვის საშინელი და მტანჯველია არა მარტო აზრი დროებითი განსაზღვრულობის, არა მარტო სიკვდილის იდეა, ეს ყველაზედ ტლანქი და საზარელი მოვლინება ჩვენს სულიერს ცხოვრებაში: თვით დროების ვითარებაში ამას გარდაც იმალება რამდენიმე მომენტი, რომელიც ხშირად უიმისოდაც სწამლავს ამ ქვეყნიურს ცხოვრებას. ერთს მათგანზე კარგა ხანია ყურადღება მიაქცია ფილოსოფიურმა აზროვნებამ: ყოველს სიამოვნებას, ცხოვრების სიტკბოებას და ბედნიერებას რეალური ფასი და ღირებულება აქვს, როცა ის აწმყოს ეკუთვნის; განვლილი სიამოვნება და ბედნიერება უკვე აჩრდილია სინამდვილისა, რომელიც ყოველს მნიშვნელობას დაჰკარგავს, თუ აწმყო ცნობიერებამ დრო გამოშვებით მისი ხსოვნა არ გააცოცხლა; მომავალ დროის დაპირებებსა და იმედებს აზრი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი როდისმე აწმყო სინამდვილის სისხლსა და ხორცს შეისხამენ. ამგვარად ადამიანურ ცხოვრების სიმდიდრე, მრავალმხრიანობა და ბედნიერება აწმყოს ჩარჩოებშია მოთავსებული. რაღათვით ეს აწმყო? ბეწვის ხიდი, წარსულისა და მყობადობის თვალუწვდენელს ოკეანეთ შორის გადებული, ერთი წუთის უმცირესი ნაწილია, მოჩვენება, რომლისაკენ მუდმივ ამაოდ იწვდის ხელს ადამიანი. მომავალი ვერც ასწრებს მის ფარგლებში შესვლას და ის უკვე წარსულად იქცევა, ცხოვრების დამუნჯებულს აჩრდილად, მახსოვრობის ტვირთად, რომელიც ამ არსებულ სინამდვილის უბადრუკობას ხშირად კიდევ უფრო ცხად ჰყოფს. რადგან არსებითად ბედნიერება მხოლოდ აწმყოშია, აწმყო კი თითქმის მხოლოდ ილლუზიაა, საწუთროება, რომლის დასახელებასაც ვერ ასწრებს ადამიანი, რომ ის უკვე დაბრუნებულად გამქრალია, ამიტომ თვით ბედნიერებასაც ილლუზიონური ელფერი ეძლევა. და სწორედ ჩვენი არსებობის ამ მხარეს მიაქცია ყურადღება ბარათაშვილმა თავის ფილოსოფიურ სიღრმით სავსე ლექსში: „ვპოვე ტაძარი, შესაფარი...“

ეს არის ტრაგედია „სოფლის ღელვით მაშვრალი მწირისა“, რომელსაც ბედნიერებამ ელვასავით ერთის წუთით გაუღიმა, გაუნათა და დაანახვა უდიდესი მშვენიერება და ამით გულსა, მოკლულსა კაცთ სიავით და ბედის ბრუნვით მიანიჭა „განსვენება წრფელისა ზრახვით“. გაუღიმა ერთის წუთით, რომ შემდეგ სამუდამოდ გამქრალიყო და ამით მისი ობლობა და მიუსაფრობა კიდევ უფრო აუტანელი გაეხადა:

> მაგრამ საწუთრო განა ვისმე დიდხანს ახარებს?
> განქრა ტაძარი და უდაბნო ჩემდა მდუმარებს;
> მას აქეთ ჩემს გულს ნეტარება არ ასადარებს,
> მის ნაცვლად სევდა და წყვდიადი დაისადგურებს!“

როგორც „მერანში“ მეს ზოგადი, ხოლო „ფიქრში მტკვრის პირას“ და „სულო ბოროტოში“ შემეცნებითი და სარწმუნოებრივი, ისე ამ ლექსში ესტეტიურ მეს ტრაგიზმი გამოიხატა. ეჭვი არ არის, რომ ეს ტაძარი შესაფარი, უდაბნოდ მდგარი, რომლის შესახებაც მგოსანი ამბობს, რომ

> მუნ ენთო მარად უქრობელი, წმინდა ლამპარი;
> ანგელოსთაგან იკროდა მუნ დავითის ქნარი,
> და განისმოდა ციურთ დასთა გალობის ზარი!

გენიოსურ ფანტაზიის ნაყოფია, როგორც ყოველი ესთეტიური შემოქმედება. როგორც ყოველს ნამდვილს ხელოვნურს ნაწარმოებში ისე მასშიც ადამიანის უწმინდესი და უმშვენიერესი გრძნობები სძევს:

> მუნ ვუნდრუკვს წილ შევსწირავდი წმინდა სიყვარულს,
> რომლის საკვერთხად დავსდებდი მე ჩემს გულსა და სულს.

მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ის ესთეტიურ ფანტაზიის ნაზი ნაყოფია და, მაშასადამე, ჩვეულებრივ, ტლანქ სინამდვილის ურთი-ერთობის გარეშე სდგას, მას შეუძლიან გამოიწვიოს ადამიანის სულში უდიდესი სიამოვნებაც და უდიდესი ტანჯვაც: მას შეუძლიან თავის არსებობით გაამშვენიეროს და გააკეთილშობილოს მოუხეშავი, ულაზათო სინამდვილე, მაგრამ თავის წინააღმდეგობით და შეუსაბამობით მასთან, შეუძლიან აუტანელიც გახადოს მოკვდავის ცხოვრება, რომელიც ყოველს შემთხვევაში ამ ჩვეულებრივ სინამდვილისაგან ვერასოდეს ვერ განთავისუფლდება. ესთეტიურ სულის ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ ის ერთსა და იმავე დროს ორს, აბსოლუტურად შეუდარებელს ქვეყანაში სცხოვრობს: ამიტომ როცა იგი ადამიანობის უმაღლესს მწვერვალებზე ადის, როცა იგი უზენაესობას და უკვდავებას უახლოვდება, მას ჰაუპტმანის ოსტატ ჰაინრიხივით მოესმის ხოლმე დაძირულ ზარის ხმა, რომელიც ახსენებს მას, რომ ისიც სიკვდილისა და წუთი სოფლის ღვიძლი შვილია და იწოდებს ბარისკენ, სადაც მწუხარება და ცრემლთა ფრქვევაა.

მართლაც, თუ ადამიანის უპირველეს მიზანს მეს გრძნობის გაფართოება შეადგენს, მას ის ყველაზე უფრო ესთეტიკურს ყოფაქცევაში მიაღწევს. მაშინ როცა მეცნიერული აზროვნება ადამიანურ გრძნობას სამყაროს ყოველ კუთხიდან ულმობელად სდევნის და მოვლენათა ახსნას მხოლოდ მექანიკურ ძალთა ურთიერთობიდან სცდილობს, ესთეტიურს მეს ხელახლად შეაქვს სულიერი ცხოვრება ბუნებაშიაც და ხელოვნურ ფანტაზიის ქმნილებაშიაც: ის ყურს უგდებს, თუ როგორც ჰფეთქავს გრძნობა და სულიერი მოძრაობა ფოთლების იდუმალს შრიალში, ნიავის ნაზს ჩურჩულში, რუს გაუგებარს ბუტბუტში, ხის ტოტების უცნაურს რხევაში ან დაბურულ ტყის მრავალ-მეტყველს მდუმარებაში. თითქო აქ, მშვენიერების სამეფოში, მე მართლაც აღწევს თავს თავის ინდივიდუალურს საზღვრებს, თითქო აქ ის მართლაც დღესასწაულობს გამარჯვებას ბედისწერაზე, რომელმაც მას გარდაუვალი წრე მიუჩინა, თითქო აქ ის ჰხედავს თავის მეს ობიექტივიზაციას, თავის სულს და გრძნობებს არამეში განხორციელებულს. არის მომენტები ესთეტიურს სიამოვნებაში, როცა მეს ჰგონია, რომ საბედისწერო ამოცანა ახსნი-

ვნია, დანარჩენი „საუკეთესო მოღვაწენი" მისი მსგავსნი იქნებიან, თუ არა!

მოვესწრებით! **არნავოხელ.**

# საზღვარ-გარედ

**ინგლისის ტრედ-უნიონების ზრდა.**

ინგლისის ვაჭრობის სამინისტრომ გამოაქვეყნა სტატისტიკური ცნობები ინგლისის მუშათა ორგანიზაციების შესახებ 1907 წლის გასულს. ამ დროსთვის ინგლისელ ტრედ-უნიონებს 2,400,000 წევრი ჰყოლიათ, ესე იგი ნახევარ მილიონით მეტი, ვიდრე 1904 წელს. მუშათა ორგანიზაციებში ამ ჟამად 200,000 ზე მეტი ქალი ირიცხება წევრად.

100 მსხვილ ტრედ-უნიონს 1907 წელს შემოსავალი ჰქონია თითქმის $2^1/_2$ მილიონი გირვანქა სტერლინგი (25 მილიონ მანეთამდე), ხოლო გასავალი 2 მილიონი გირვანქა. ფული უმთავრესად შემდეგ საქმეებზე დაუხარჯავთ ტრედ-უნიონებს: დახმარება წევრებს ან მათ ოჯახებს ავადმყოფობისა, უბედურ შემთხვევებისა, დაშავებისა და სიკვდილის დროს (1907 წელს ამ საქმეზე დახარჯულა თითქმის 1 მილიონი გირვანქა), დახმარება უმუშევრებს (1907 წ.—466 ათასი გირვ., ხოლო ათ წელიწადში, 1898—1907 წლებში,—4 მილიონი გირვანქა) და, დასასრულ, წევრების დახმარება გაფიცვების დროს (სამს წელიწადში, 1905 1907 წლებში,—500 ათასი გირვანქა). ამ 100 მსხვილ ტრედ-უნიონის თანხა 1907 წლის გასულს უდრიდა 5,6 მილიონ გირვანქას.

# რუსეთი

✦ **მღვდელი დეპუტატები.** ამ რამდენიმე ხნის წინად «ჭეშმარიტ რუსთა კავშირის» მთავარმა საბჭომ სახელმწიფო სათათბიროს ზოგიერთ მღვდელ დეპუტატებს უსაყვედურა, ჩვენ გაგიყვანეთ სათათბიროში და ეხლა ოქტომბრისტებს და მემარცხენეებს ემხრობითო. ამავე საყვედურით მღვდელ-დეპუტატებს მიმართა კიევის „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" განყოფილებამ. «რუსკ. ვედომ.» სიტყვით, კიევის დეპუტატ-მღვდელს ტრეგუბოვს განუცხადებია, რომ მე არას დროს არა ვყოფილვარ „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" წევრი და არც მათი მეშვეობით ავურჩევივართ სათათბიროში. რაც შეეხება მღვდელ სოლუხს, მან მემარჯვენეებს მაშინვე მიანება თავი, როცა გაიგო, რომ ეს უკანასკნელნი მემამულეების ინტერესებს იცავდნენ და გლეხებს კი ყურადღებას არ აქცევდნენო. დეპუტატი სიდენკო კი (გლეხია) პროგრესისტებს მიტომ მიუდგა, რომ მისმა ამომრჩევლებმა მოსთხოვეს ეს. ამიტომაო, დასძენს ტრეგუბოვი, უსაფუძვლოა „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის» მთავარ საბჭოს და მის კიევის განყოფილების საყვედურიო.

✦ **ტურუხანის მხარეში გადასახლებულები.** როგორც ვიცით, ტურუხანის მხარეში გადასახლებულთაგან 60 გადასახლებული სამხედრო სამართალში მისცეს, მათ აბრალებენ გადასახლებულების საიდუმლო კავშირის დაარსებას და ექსპროპრიაციების ხელის შეწყობას. სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატ ბელოუსოვს ტურუხანის მხარიდან წერილი მიუღია. წერილში ნათქვამია, რომ სამართალში მიცემულთა უმრავლესობა უდანაშაულოა, მათ არავითარი კავშირი არ დაუარსებიათ, ექსპროპრიაციებს ხელს კი არ უწყობდნენ, პირიქით აღელვებულები იყვნენ ექსპროპრიაციებით და მიუხედავად ამისა მაინც სამართალში მისცესო. წერილში გადასახლებულები დახმარებას თხოულობენ.

✦ **რუს ემიგრანტ-ქალის საქმე.** «ნოვოე ვრემიას» სიტყვით ფილადელფიაში დაუპატიმრებიათ რუსი ემიგრანტი-ქალი ფელიცია ბეკერი, რომლის გაცემას თხოულობს რუსეთის მთავრობა. ფელიცია ბეკერს შემდეგს აბრალებენ: პეტერბურგში მის ქმრის სახლის გასაჩხრეკად მივიდა პოლიცია. ფელიცია ბეკერმა გაჩხრეკის დროს რევოლვერით მოჰკლა ერთი პოლიციელი და შემდეგ სადღაც გაიქცა. ფელიცია ბეკერი კანადაში წასულა, საიდანაც ფილადელფიაში (ამერიკა) გასულა. აქ იგი შეჰხვედრია რუსეთის საიდუმლო პოლიციის აგენტს ფიოდორ მუზიკს, რომელსაც გაუცია ბეკერი. ფელიცია ბეკერის საქმეს გაარჩევს ამერიკელი მოსამართლე და თუ ფელიცია ბეკერის საქმე პოლიტიკურად იცნეს, რუსეთის მთავრობას აღარ გადასცემენ მას და გაანთავისუფლებენ.

✦ **პოლონელების წინააღმდეგ.** „რეჩის" სიტყვით, სახელმწიფო კონტროლიორს ხარიტონოვს ცირკულიარი გამოუცია. ცირკულიარში ნათქვამია, რომ ჩემ განკარგულებაში მყოფ დაწესებულებებში პოლონელებს ნუ მიიღებთო.

✦ **დუბროვინი და „რუსკოე ზნამია."** „რეჩის" სიტყვით, მემარჯვენეებს უთქვამთ, რომ დუბროვინმა თავისი გაზეთი «რუსკოე ზნამია» «ჭეშმარიტ რუსთა კავშირს" გადასცაო. ამას გარდა დუბროვინს პურიშკევიჩთან შერიგება სდომებია, მაგრამ ასე გაიინჯეთ პურიშკევიჩსაც კი უარი განუცხადებია. ამ უკანასკნელ დროს დუბროვინზე ისეთი ხმები გავრცელდა (გერცენშტეინის მკვლელობა), რომ მასთან მეგობრულ კავშირს ვერ ვიქონიებთო!!!

✦ **გუსტავ შმიდტი.** ბედი არ სწყალობს გუსტავ შმიდტს! ჯერ იყო და სახელმწიფო სათათბიროდან გააძევეს, მოღალატეაო, ახლა კიდევ სხვა უბედურება დასტყდომია თავზე. მინსკის ქალაქის საბჭოს 34 ხმოსანს მოუთხოვია, რომ შმიდტი საბჭოდან გავაძევოთ, რადგან იგი მოღალატეაო. საბჭოს მიუღია 34 ხმოსნის წინადადება და უკვე შუამდგომლობა აღუძრავს სადაც ჯერ არს. შმიდტი თავის მხრივ სამართალში აძლევს 34 ხმოსანს, შეურაცხყოფა მომაყენესო.

✦ **სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ხარკოვში 8, მოსკოვში 2, კიევში 2, კრასნოიარსკში 1, ვარშავაში 3, ეკატერინოსლავში 1, უფაში 2 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: ტამბოვში 1, ხარკოვში 2, პეტერბურგში 2, ვარშავაში 1, კამენეც-პოდოლსკში 2, იურიევში 2 კაცი.

✦ **თვითმკვლელობა მოსკოვში.** გასულ თვეს, აპრილში მოსკოვში თავის მოკვლა განუზრახავს 86 კაცს (59 მამაკაცი, 27 ქალი). თავი მოუკლავს 25 კაცს, დანარჩენები გადურჩენიათ. უმთავრესად თავის მოკვლა მუშებს განუზრახავთ.

## წერილი რედაქციის მიმართ.

რადგან გაზ. „ზაკავკაზიე"-ს მე-69 ნომერში მოთავსებული იყო წერილი: „ინციდენტი ტასო აბაშიძესთან", ამიტომ იძულებული ვარ ავუხსნა მკითხველ საზოგადოებას, თუ მართლა რამდენად მქონდა უფლება ან იურიდიული და ან ზნეობრივი, რომ ჩემი ბენეფისი გამემართა საარტისტო საზოგადოების თეატრში და არა სათავად-აზნაუროში. ვეცდები, რაც შეიძლება, მოკლედ ავუხსნა. ავიღებ უკანასკნელ სამ ბენეფისს. ბენეფისები კენჭის ყრით გადასწყდა და ასე უნდა დაბოლოვებულიყო: ჯერ არტისტ გუნიას ბენეფისი, მერე ქ-ნ კარგარეთლისა და ბოლოს ჩემი. ქ-ნ კარგარეთელს უნდა ჰქონოდა და ჰქონდა კიდეც ბენეფისი 23 აპრილს. ამის შემდეგ ჩემი ბენეფისი უნდა ყოფილიყო 29 აპრილს. არ ვიცი, რა მოსაზრებით ან რა მიზეზით მოხდა ის, რომ -ნმა გუნიამ თავისი ბენეფისი თავის დროზე არ გამართა და 26 აპრილისათვის გადაიტანა. გამგეობა ამაზე დასთანხმდა, მიუხედავად იმისა, რომ 26 აპრილი კვირა დღე იყო. კვირა დღეს კი საზოგადოება არავის აძლევდნენ საბენეფისოდ. ალბად ბ-ნ გუნიასათვის შესაძლოდ ნახეს, რაც შემდეგ გამოირკვა. 23 აპრილისთვისაც იყო თავისუფალი კვირა დღე, მაგრამ გუნიამ ის დღე არინდომა და თავისი ბენეფისის გადატანით შესცვალა დღეებიც და ბენეფისის რიგიც, ისე რომ გუნიას ბენეფისი ჩემსა და კარგარეთელს შუა მოათავსეს. რასაკვირველია ასეთი ხელის შემშლელი ბენეფისი არ მესიამოვნა და მივმართე გამგეობას, რომელმაც მიპასუხა: „თუმცა ჩვენ პირველ მაისიდან დასს ვითხოვთ, მაგრამ, თუ გინდათ, ორ მაისამდე დაკარჩენთ. თქვენი ბენეფისი ორ მაისისათვის გადაიტანეთო". ამ ლაპარაკს რეჟისორიც დაესწრო. მე დავსთანხმდი.

თურმე ნუ იტყვით, ორ მაისს ზუბალაშვილების თეატრში ქართული წარმოდგენაა. მე ეს არ ვიცოდი. რეჟისორმა თუმცა იცოდა, მაგრამ, როგორც მერე თვითონ მითხრა, დავიწყებოდა*). მე რომ მცოდნოდა, რასაკვირველია, არ დავთანხმდებოდი, რადგან დარწმუნებული ვარ, ხელს შემიშლიდა. ვიდრე ამას გავიგებდი, კიდევ ორი დღე გავიდა, და ამასობაში კი ჩემი ბენეფისის დღე ახლოვდებოდა. მივმართე თავმჯდომარეს—ბ-ნ ჯაბადარს, ავუხსენი ყველაფერი და ვუთხარი, რადგან გუნიას ბენეფისი თავის დროზე არ მოხდა, მან თავისი დრო გამოსტოვა, ამიტომ გთხოვთ ისევ იმისი ბენეფისი გადაიტანოთ შემდეგისთვის, ჩემი ბენეფისი კი თავის დროზე დასტოვოთ მეთქი. ამაზე ბ-ნმა ჯაბადარმა მკვახედ მიპასუხა: „ჩვენ გუნიას კვირა დღე დავპირდით და ეხლა ველარ წავართმევთ. გნებავთ პირველი ან ორი მაისი აიღეთ, თუ არა და ძალას ვინ გატანთ, უარი სთქვით ბენეფისზე და ჩვენც პირველ მაისს დასს დავითხოვთ".

რასაკვირველია, ამისთანა მკვახე პასუხის შემდეგ მე ჩემ საქმეს შევუდექი. ჯერ ეს ერთი ჩემი ბენეფისისათვის გამგეობა არც საჭირო ტანთსაცმელს და არც ფეხსაცმელს არ მაძლევდა. მიუხედავად იმისა, რომ სამასი მანეთი უნდა გამოერთვათ. ყველა ეს მე თვითონ უნდა მეკისრნა, რაც მეტად მიძნელდებოდა, რადგან ისეც დიდი ხარჯი მქონდა. და მეორეც თვით გამგეობას არაფრად მიაჩნდა ჩემი ბენეფისი და იმ უსამართლობას, რომელზედაც მე ვჩიოდი, ყურს არ უგდებდა და პირიქით თვით მიჩვენებდა გზას,—უარი სთქვი ბენეფისზეო. მეც სწორედ ეგრე მოვიქეცი. მივმართე საარტისტო საზოგადოებას. რომელიც ორას მანეთად მაძლევდა შენობასაც და საჭირო ტანთ-საცმელსაც. როცა თეატრი დავიქირავე, მივედი და რეჟისორს გამოვუცხადე რომ მე ჩემი ბენეფისი საარტისტო საზოგადოების თეატრში გადავიტანე მეთქი. იურიდიული უფლება მქონდა იმით, რომ პირველი მაისიდან აღარ ვმსახურებდი და ზნეობრივი უფლება მქონდა ჯერ ერთი იმით, რომ ჩემი ბენეფისი უკიდურეს მდგომარეობაში ჩააყენეს და მეორეც იმით, რომ თვით თავმჯდომარე მიჩვენებდა გზას. გამგეობამ ჩემი ბენეფისის გათავებას აღარ დააცადა და მეორე დღესვე დამაჯარიმეს, და რომ ჩემი ბენეფისისათვის ხელი შეეშალათ, სწორედ წარმოდგენის წინა დღეს მოათავსეს გაზ. „ზაკავკაზიე"-ში ის წერილი, რომელმაც მაიძულა ეხლა პასუხი გავეცე. თავიანთ საწადელს მიაღწიეს, ხელი შემიშალეს და დარწმუნებული ვარ, ძლიერ ნასიამოვნები არიან. ჩემის აზრით ასეთი საქციელი ისეთი წვრილმანობაა, რომელიც ოფიციალურ კულტურულ დაწესებულებას არ შეჰფერის და რაც შეეხება ჯარიმას, ეხლა მე ვკითხავ გამგეობასა რომ მაჯარიმებდა, რა უფლება ჰქონდა ზნეობრივი თუ იურიდიული.

**ტასო აბაშიძე.**

*) გამგეობას გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ იმ დღეებში, როცა სახალხო სახლი მართავდა წარმოდგენებს, მას არ გაემართა. ასეთი დღეები რეჟისორსა ჰქონდა ამოწერილი.



# განცხადებანი

**შემთხვევით** იყიდება მეტად ხელ მისაწვდენ ფასებში გასტრონომიული მაღაზია გოლოვინის პროსპექტზე, № 41, „რაზგონნი" ფოსტის პირდაპირ, სახლი ბაბანასოვისა. ყოველივე მოწყობილობით და

**კალბასის ქარხნით**

შეიძლება მაღაზია თავის ქარხნით იჯარითაც გასცეს იმ პირობით, როგორც ორი ვაჭარი კაცი დაავასებს. პირობებს გაიგებთ შეიძლება იქვე მაღაზიაში. (1—256—1)

**პირველი კერძო სამკურნალო**

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს.

[illegible]

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. გ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—83)

**ექიმი ე. ს. ხუნდაძე** ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ. ლევაშოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (წლ.—ნ.—54)

პეტერბურგში გამოვიდა რუსულ ენაზე ახალი წიგნი მალაქია ბოლქვაძისა

**ნუ რყვნით ქალებს!..**

ანუ

**„კაცობრიობის მტერნი"**

შინაარსი: წინასიტყვაობა.—წარსული.—აწმყო.—სქესობრივი ინსტიქტი და გონე- [illegible]

ფასი 65 კაპ.

[illegible] Петербургъ, Сергіевская, 81, [illegible]

**ОСЕННИЙ ТЕЛЯТНИКЪ Живописцева въ г. Орлѣ**



[illegible] (2—6—2)

**ამხ. „სორაპანის" გამოცემა**

**„ახალი ნანგი"**

[illegible]

(10—5.—7)



Швейныя машины „Кайзеръ"

**ალექსანდრე როსტომის ძე ტაბაგარის მაღაზია ქ. ქუთაისში.**

[illegible]

адресъ: А. Р. Табагари, г. Кутаисъ.

(100—5—35)



ლია, რომ მისი ბრძოლა თავისივე თავთან დამცხრალია, რომ ყოველივე ზღუდე, რომელიც ინდივიდუალურსა და აბსოლუტურს შორის სძევს და მათ შეერთებას ხელს უშლის, განადგურებულია

„მაგრამ საწუთრო განა ვისმე დიდხანს ახარებს?" ესთეტიურს ექსტაზს და თავდავიწყებას მისდევს გამოფხიზლება, ღვთაებრივ აღმაფრენას—ფრთების შეკვეცა, მშვენიერს ილლუზიას—დუხჭირი სინამდვილე, სინთეტიურს შემოქმედებას—კრიტიკული ანალიზი, რომელიც ააშკარავებს, რომ მთელს ესთეტიურს სამეფოს საძირკვლად ფანტაზიის ნაყოფიერება უძევს. განა არსებობა ამის შემდეგ უფრო ბედკრული არ არის?

> ვერღა აღმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი!
> ვერსად აღვანთე დაშთობილი მისი ლამპარი!
> ესრეთ დამიხშო უკუღმართმა ნუგეშის კარი,
> და დავალ ობლად, ისევ მწირი მიუსაფარი!

**11.**

თუმცა, როგორც ზევით დავინახეთ, ნათესაობა შოპენჰაუერის [illegible]

[illegible] ლო მოვლენაში იდეას, უფრო უკეთ შეუძლიან შეიგნოს და ცნობიერების ნათელი მოჰფინოს ადამიანურ არსებობის ამ მუდმივს ქონაობას მოწყენილობას (ეს სურვილს მოკლებული მდგომარეობაა) და ტანჯვის (ესაა დაუკმაყოფილებლობა სურვილისა) შორის, ვიდრე „ეგრეთ წოდებულს ისტორიულს მეცნიერებას" ან „ისტორიის ფილოსოფიას" (ა. შოპენჰაუერი „სამყარო როგორც ნების ყოფა და წარმოდგენა". ტომი 2, წიგნი მესამე, § 38), რადგან ისტორიის შინაარსი ინდივიდუალური და განუმეორებელია, ინდივიდუალური და განუმეორებელი კი სინამდვილის აჩრდილია, საოცნებო მოჩვენება, რომელიც მსოფლიო ნების ყოფას ესიზმრება, ამიტომ ისტორიზმიც ცდომილი გზაა, რომელიც ცნობიერებას მის ნამდვილს მიზნებს უჩრდილავს და ცრუ პრობლემებისკენ იტყუებს.

პირიქით ხელოვნება, განსაკუთრებით ტრაგედია შოპენჰაუერისა, ფარდასა ჰხდის იმ ჭეშმარიტებას; [illegible]

[illegible] ევრიპიდის, კალდერონის, შექსპირის და გოეტეს დრამების გმირებივით შევიგნოთ თვით ინდივიდუალურ ყოფნის არარაობა და ჩვენისავე ნებით, სიამოვნებით, უარი ვსთქვათ ნებისყოფაზე ცხოვრებისადმი ერთხელ და სამუდამოდ.

ბარათაშვილის პოეზიიდან, როგორც ზევითაც დავინახეთ, ინდივიდუალიზმისა და ისტორიზმის შესახებ ამის პირდაპირ საწინააღმდეგო შეხედულება გამოკრთის. ეს მგოსანი პირველი ქართველი მოციქულია ძლიერის ინდივიდუალიზმისა, დიდ ტრაგიკულ პიროვნებისა, რომელიც თავის დანიშნულებას ჰხედავს არა არსებობის გაყინვაში და განადგურებაში, არამედ მის გამდიდრებაში და გამრავალფეროვნებაში დაუსრულებლობამდე და მარადისობამდე. თავის მოუსვენარს ძიებაში მან სამყაროში აღმოაჩინა გენიოსური ინდივიდუალობა, დიადი მე, რათა შემდეგ ამავე მეში პირიქით მთელი ქვეყნის მრავალმარივობა დაენახვებინა: და [illegible]

[illegible] გენდა იმ ლტოლვის დედა აზრს, რომელმაც ბარათაშვილის ტრაგიზმი გამოიწვია.

თვით ტრაგიკულს ბრძოლაში, თვით გადამწყვეტს შეტაკებაში ულმობელს ბედისწერასთან, მაშინაც კი როცა ის ჰხედავს, რომ დამარცხება და ბოლოს მოღება აუცილებელია, ის იჩენს იმ მოუდრეკელობას, რომელიც ჩემის აზრით, შოპენჰაუერის შეხედულების წინააღმდეგ, ასე დამახასიათებელია ყოველ ნამდვილ ტრაგიულ გმირისთვის. არის რაღაც გამოუთქმელად ამამაღლებელი ამ ძლიერებაში, რომელიც თვით საშინელს კატასტროფაში ცხოვრებას ზურგს არ უბრუნებს, სულ-მოკლედ ქედს არ იხრის თვით სიკვდილის წინაშეც და შთამომავლობას მედგრად უთითებს იმ გზისაკენ, რომელზედაც მან ამაყად პირველმა შესდგა ფეხი: „მეტი ცხოვრება, ფართე არსებობა, ძლიერი პიროვნება!" აი უკანასკნელი ანდერძი მხედარისა, რომლისათვის თვით ტრაგიკული [illegible]

(შემდეგი იქნება)

**გერონტი ქიქოძე.**